ჩვენი სოფელი

გაზეთი გამოდის 2015 წლის ოქტომბრიდან

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა • მაისი/2023 N 86

დამოუკიდებლობის დღე გვ 2-3

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

26 მაისი

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული დამოუკიდებლობის აქტი, რომლითაც გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, მიღებულ იქნა 1918 წლის 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევს, 17 საათსა და 10 წუთზე, თბილისში.

ახალი ამბები გვ 2-3

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, სამუშაო ვიზიტით, აშშ-ში იმყოფებოდა

- საქართველოში კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი და დაბალემისიიანი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ახალი პროექტი განხორციელდება

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია ქვემო სვანეთში, სოფელ ცანაში არსებულ ეკოლოგიურ ვითარებას ადგილზე გაეცნო.
- საქართველოს მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის ფარგლებში, ქვეკომპონენტი ამოქმედდა.
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში იმამურა აკირას შეხვდა.

- აგროსასურსათო პროდუქციით ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ და უნგრეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ისტვან ნაგიმ ხელი თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს.

წარმატების ისტორიები გვ 8

სახელმწიფოს ხელშეწყობით, ქარელის მუნიციპალიტეტში სეტყვის საწინააღმდეგო ბადეების მწარმოებელი ახალი საწარმო გაიხსნა

სოფლის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით, კასპის მუნიციპალიტეტში ახალი სასათბურე მეურნეობა შეიქმნა

ასპინძაში, სახელმწიფოს მხარდაჭერით, რძის გადამამუშავებელი მცირე საწარმო ამოქმედდა

გამოფენები გვ 9

ბაქოში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე CASPIAN AGRO 2023, საქართველოს სტენდზე პრეზიდენტ ილჰამ ალიევს უმასპინძლეს.

- **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, მთაწმინდის პარკში ჩაისა და თაფლის ყოველწლიური ფესტივალი გაიმართა.**

ქართული ღვინო გვ 10-11

- ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს რაგბის კავშირს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.
- ასოციაციის „ბუნებრივი ღვინო“ ორგანიზებით და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, თბილისში ბუნებრივი ღვინის ყოველწლიური ფესტივალი „ZERO COMPROMISE“ გაიმართა.
- ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Meiburg Wine Media” ხელმძღვანელის, ღვინის მაგისტრ დებრა მეიბურგის ორგანიზებით, საქართველოს ჩინეთიდან და სინგაპურიდან ღვინის პროფესიონალები სტუმრობდნენ.
- თბილისში, საქართველოს სომელიეთა ასოციაციამ, ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით შექმნილი საერთაშორისო სასწავლო პროგრამის „ქართული ღვინო" პრეზენტაცია გამართა.
- თბილისში „ახალი ღვინის ფესტივალი“ გაიმართა.
- ლონდონის ღვინის საერთაშორისო გამოფენაში ქართული კომპანიები მონაწილეობდნენ.

- ქართული მევენახეობა–მეღვინეობის ისტორია.

გარემოს დაცვა გვ 12-13

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი 10 წლის გახდა

სასმელი წყალი - დიაგნოსტიკისთვის ნიმუშის აღებისა და ლაბორატორიაში შემოტანის წესები

გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი, მარიკა მახარაძე ორი წლის ვადით, საქართველოს შავი ზღვის ახალგაზრდა ელჩი იქნება

განათლება გვ 14

2022 წელს, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების დონის პირველი კვლევა ჩაატარა

ბიომრავალფეროვნება გვ 15

საქართველოს ბიომრავალფეროვნება

- ალკუნი • თოხიტარა • ოფი • კოლხური ბაძგი

პროფესიული განათლება გვ 16

ღვინის სკოლა „ქვევრის მზე“ სასწავლო პროგრამაზე „ქვევრის და ქვევრის ღვინის სპეციალისტი“ მსმენელთა ახალი ნაკადის მიღებას იწყებს

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

#თავისუფლებისსიყვარულით

26 მაისი

მცხეთა

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებები, საქართველოს მთავრობის ორგანიზებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა.

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია:

„საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ვულოცავ ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს. დამოუკიდებლობა არის ჩვენი ყველაზე დიდი მონაპოვარი, რომელსაც განსაკუთრებული დაცვა და გაფრთხილება სჭირდება. ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქის უმთავრესი ვალიც სწორედ ეს არის – დავიცვათ ჩვენი თავისუფლება და ვიზრუნოთ ქვეყნის განვითარებაზე. ჩვენ ქვეყანა უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევის გზაზე დგას. ეს არის ევროკავშირის ოჯახის წევრობა. დარწმუნებული ვარ, სულ მალე ჩვენ ვიქნებით ევროკავშირის წევრი ღირსეული ქვეყანა, რომელმაც შეძლო ბევრი სირთულის გადალახვა, გაუმკლავდა არაერთ გამოწვევას, მაგრამ შეინარჩუნა მთავარი ღირებულებები, შეინარჩუნა დამოუკიდებლობა და აგრძელებს წინსვლას და განვითარებას. კიდევ ერთხელ გილოცავთ დღევანდელ დღეს, გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ, ქ. მცხეთაში მოწყობილი სივრცე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ დაათვალიერა.

მცხეთის ცენტრალურ მოედანზე მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებულ პროდუქციას. მოწყობილი იყო ქართული ღვინის სადეგუსტაციო კუთხე, კულინარიული მასტერკლასი, რაც მოიცავდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ადგილობრივი კერძების თანამედროვე ვერსიების მომზადებას.

ბავშვებისათვის მოწყობილი იყო შემეცნებითი სივრცე, სადაც გაიმართა კონცერტი. ღონისძიების ფარგლებში, გამოფენილი იყო თავდაცვის ძალების სამხედრო ტექნიკა, შეიარაღება და აღჭურვილობა.

17:10 საათი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიული დრო, საზეიმოდ აღინიშნა. დღის განმავლობაში, ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით გაიმართა არაერთი კონცერტი.

26 მაისს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ქ. მცხეთაში, ქ. ქუთაისსა და ქ. ოზურგეთში სხვადასხვა აქტივობით იყო წარმოდგენილი.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

#თავისუფლებისსიყვარულით

26 მაისი

ქუთაისი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ქალაქ ქუთაისში აღნიშნა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, დაცული ტერიტორიების სააგენტომ ქუთაისის ცენტრალურ ბულვარში მისულ სტუმრებს სხვადასხვა შემეცნებით-გასართობ აქტივობა შესთავაზა.

ღონისძიებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე დაესწრო:

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ვულოცავ ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს. ჩვენ ბევრი ვიბრძოლეთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის, ამ ბრძოლაში ვართ ერთიანი, და შესაბამისად, ძლიერები. დღეს მთელი საქართველო ზეიმობს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზატორია ქუთაისში, მცხეთასა და ოზურგეთში. ისტორიულ ქალაქ ქუთაისში ვზეიმობთ ამ დღესასწაულს, დაცული ტერიტორიების სააგენტო სხვადასხვა შემეცნებით-გასართობ აქტივობას სთავაზობს სტუმრებს, კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ვისაც საკუთარი წვლილი შეაქვს ამ მონაპოვარის შენარჩუნებაში და ქვეყნის ნათელი მომავლის შექმნაში“,

- განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, იური ნოზაძემ.

იმერეთი, უძველესი ისტორიის გარდა, მრავალფეროვანი ბუნებით, განსაკუთრებით კი მღვიმეებითა და კანიონებით გამოირჩევა, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. დაცული ტერიტორიების სააგენტო სხვადასხვა სივრცით იყო წარმოდგენილი: პრომეთეს მღვიმის, ოკაცეს, თეთრა მღვიმის, რომლებშიც სტუმრებს საქართველოს უნიკალურ დაცულ ტერიტორიებზე ვირტუალური მოგზაურობის შესაძლებლობა ჰქონდათ; წარმოდგენილი იყო საქართველოს დაცული ტერიტორიების და ეროვნული პარკების საინფორმაციო სტენდები.

მთელი დღის განმავლობაში, ცენტრალურ ბულვარში გაიმართა მუსიკალური და თეატრალური წარმოდგენები, საბავშვო-გასართობი აქტივობები.

17:10 საათზე, იმ დროს, როდესაც 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, საქართველოს ეროვნული ჰიმნი შესრულდა. საზეიმო ღონისძიებები კონცერტით დასრულდა.

26 მაისი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

#თავისუფლებისსიყვარულით

ოზურგეთი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის საზეიმო ღონისძიებების აღნიშვნის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტო ქალაქ ოზურგეთში წარმოდგენილი იყო კონცეფციით „საქართველო ღვინის სამშობლო“.

ღონისძიებაში 10-მდე ადგილობრივი ღვინის მწარმოებელი მონაწილეობდა, მოწყობილი იყო ე.წ. „სომელიეს კუთხე“, სადაც ჩატარდა პროფესიული დეგუსტაცია, წარმოდგენილი იყო ქართული ღვინისა და ვაზის კულტურის ისტორიასა და ტრადიციებთან დაკავშირებული ვიზუალური და საინფორმაციო მასალა, მათ შორის, გურიის რეგიონის ღვინისა და ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება. ქალაქის ცენტრში მოწყობილ მოედანზე მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა ქართული ღვინის გამოფენა-გაყიდვა.

ღონისძიებების ფარგლებში, ოზურგეთში ჩატარდა კონცერტები, ბავშვებისთვის მოეწყო გასართობი და შემეცნებითი სივრცე.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, გაეცნო ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი კომპანიების პროდუქციას.

ღონისძიება საღამოს გალაკონცერტითა და გრანდიოზული „ფოერვერკით“ დასრულდა.

გურია, მეღვინეობის გამორჩეული რეგიონია საქართველოში, რომელიც ცნობილია კლასიკური ევროპული ტიპის და მაღალხარისხოვანი ღვინოებით. გურია სახელოვანი ჩხავერის სამშობლოა. ისტორიული ჯიშებიდან ასევე აღსანიშნავია ჯანი, მტევანდიდი, სხილათუბანი, ზენათური, საკმიელა. თუმცა დღეს გურიაში ყველაზე ჰავრცელებული ჯიში მაინც ცოლიკოურია.

პირველ რიგში, რითაც დანარჩენი საქართველოსგან გამოირჩევა გურიის მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონი, ვენახების გაშენების კულტურაა, რომელიც XX საუკუნემდე, თითქმის მთლიანად, მაღლარს წარმოადგენდა, ანუ ვაზი ხეებზე იყო გაშვებული. მაღალი ტენიანობისა და ნალექების სიმრავლის გამო გურიაში დღესაც ხშირად შეხვდებით მაღლარსა და ოლიხნარზე გაშვებულ ვაზს. ოლიხნარი საკმაოდაა გავრცელებული ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების სოფლებში. ასევე, გავრცელებულია მცირე ტალავერებიც. ოლიხნარზე შტამბის სიმაღლე ხშირად 1-1.5 მეტრს აღწევს, რაც ძალიან მნიშნელოვანია ასეთი ჰავის რეგიონისთვის.

გურიაში ვენახები ძირითადად მდინარის ხეობებში, ფერდობებზეა გაშენებული. ყველაზე გავრცელებულია ცოლიკოური და საამაყო ჯიში ჩხავერი, ძალიან გვიან, როგორც წესი, ნოემბერში, ხანდახან კი დეკემბერშიც იკრიფება. საუკეთესო ჩხავერი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში მოდის.

გურიაში ასევე აღსანიშნავია ჯიშები ჯანი და მტევანდიდი, საიდანაც ასკანისა და ბახვის მიკრორაიონებში ძალზე სხეულიან, მუქად შეფერილ წითელ ღვინოს აყენებენ, რომელიც განსაკუთრებული შენახვის უნარით გამოირჩეოდა.

გურია მექვევრეობის ერთ-ერთი ტრადიციული კერა იყო და აქ ჯერ კიდევ არიან ამ უიშვიათესი ხელობის დიდოსტატები.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, სამუშაო ვიზიტით, აშშ-ში იმყოფებოდა

ვიზიტის ფარგლებში, ოთარ შამუგიამ, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) ოფიციალური მიწვევით, „სოფლის მეურნეობის ინოვაციების მისია კლიმატისთვის“ (Agriculture Innovation Mission for Climate - AIM for Climate) მინისტერიალში მიიღო მონაწილეობა.

მინისტერიალში მონაწილეობდა 45-ზე მეტი სახელმწიფო (მათ შორის, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ბრაზილია, ეგვიპტე, ავსტრალია, იაპონია, კორეა, ინდოეთი და სხვ.) და 275-ზე მეტი არასამთავრობო პარტნიორი.

როგორც ოთარ შამუგიამ მინისტერიალზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, საქართველო აქტიურად მუშაობს სოფლის მეურნეობის სექტორზე კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად. აგრარული სექტორისთვის ადაპტაციური შესაძლებლობების გაზრდა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

„საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვა-განხორციელებას. წყლის რესურსის დაზოგვა და მათი რაციონალურად გამოყენება გახლავთ მიდგომა, რომელიც კლიმატის ცვლილებების ფონზე სოფლის მეურნეობის სექტორში ინერგება. საქართველო ისწრაფვის, რომ გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი ქვეყანა. ჩვენ ქმედით და მნიშვნელოვან ნაბიჯებს ვდგამთ, როგორც საერთაშორისო ვალდებულებების, ასევე საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესასრულებლად. მჯერა, სოფლის მეურნეობაში შესაბამისი ინოვაციების დანერგვა ხელს შეუწყობს აგრარულ სექტორზე კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას, პროდუქტიულობის გაზრდას და რომ ერთიანი ძალისხმევით, შევძლებთ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ სიტყვით გამოსვლისას.

ვიზიტის ფარგლებში, აშშ-ის შინაგანი დეპარტამენტის სამსახურს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის დეკლარაციას.

ოთარ შამუგია: „პირველად ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ხელი მოვაწერეთ თანამშრომლობის დეკლარაციას ამერიკის შინაგანი დეპარტამენტის სამსახურთან”

დეკლარაცია მომდევნო 10 წლის განმავლობაში ორ ქვეყანას შორის, ერთობლივი პროექტებისა და აქტივობების განხორციელებით, არაერთი მიმართულებით, მათ შორის, გარემოს დაცვის, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობების დაცვის, ტურიზმისა და ეკოტურიზმის განვითარების კუთხით მჭიდრო თანამშრომლობას ითვალისწინებს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ, აშშ-ის შინაგანი დეპარტამენტის მდივან დებორა ჰალანდთან და აშშ-ის ეროვნული პარკების სამსახურის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე დეკლარაციის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ დაცული ტერიტორიების საერთაშორისო მხარდაჭერის გაძლიერებაზე, რაც ფინანსური მხარდაჭერის გარდა, საუკეთესო ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას გულისხმობს. დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული პარკების სამსახურს მრავალწლიანი წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება აკავშირებს, რაც ითვალისწინებს ტექნიკურ მხარდაჭერას, თანამშრომელთა გადამზადებას და სასწავლო ვიზიტებს. დეკლარაციის ფარგლებში, რომელსაც ხელი მოვაწერეთ, კიდევ მეტად გაღრმავდება არსებული კავშირები და გაჩნდება შესაძლებლობა, რომ მრავალ ახალ ინიციატივას ჩაეყაროს საფუძველი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი დაცული ტერიტორიები იმართება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ჩვენ არაერთ პროექტს ვახორციელებთ ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითრების მიმართულებით იმისათვის, რომ გაიზარდოს ჩვენი დაცული ტერიტორიების ცნობადობა მსოფლიო მასშტაბით, გაიზარდოს ინტერესი და, შესაბამისად, ვიზიტორთა რაოდენობა“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ.

აშშ-ის შინაგანი დეპარტამენტი იცავს და მართავს ბუნებრივ რესურსებს და კულტურულ მემკვიდრეობას, უზრუნველყოფს რესურსებზე სამეცნიერო და სხვა სახის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მიერ მინიჭებული მანდატით, დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს ეკონომიკური, ეთნიკური თანასწორობის და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის მიმართულებით.

ამერიკის შეერთებული შტატების შინაგან დეპარტამენტში გამართულ შეხვედრას, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ირაკლი გივიაშვილი და დაცული ტერიტორიების სააგენტოს უფროსი დავით იოსებაშვილი ესწრებოდნენ.

აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, ოთარ შამუგია USAID-ის ადმინისტრატორის მოადგილეს ევროპისა და ევრაზიის ბიუროში ერინ ელიზაბეტ მაკკიისს შეხვდა

როგორც ოთარ შამუგიამ შეხვედრაზე აღნიშნა, აშშ-ის, როგორც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის, სოფლის განვითარების და გარემოს დაცვის მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებში.

„მოხარული ვარ, რომ აშშ-ში ჩემი წინა ვიზიტის ფარგლებში განხილული საკითხები, რაც უკავშირდებოდა ღვინის პოპულარიზაციასა და ცნობადობის ამაღლებაში ხელშეწყობას, უკვე აისახა USAID-ის პროექტებში. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ პროექტის განმახორციელებელ გუნდთან და ველოდებით ხელშესახებ

პროგრესს. ასევე აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოში USAID-ის ადგილობრივ გუნდთან, რომელსაც ბატონი ჯონ პენელი ხელმძღვანელობს და, ვფიქრობთ, გვექნება კიდევ უფრო მეტი თვალსაჩინო წარმატების მაგალითი როგორც დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ასევე პროდუქციის ექსპორტის ზრდის კუთხით, განსაკუთრებით, აშშ-ის და სხვა სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნების ბაზრებზე“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

როგორც ერინ ელიზაბეტ მაკკიისმა აღნიშნა, აშშ-ის საქართველოსთან 30 წლიანი თანამშრომლობა განსაკუთრებით ნაყოფიერია სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულებით.

„ჩვენ გავაგრძელებთ მხარდაჭერასა და პარტნიორობას თქვენთან, რადგან ძლიერი თქვენ, ნიშნავს ძლიერ ჩვენს. ჩვენ ხელს შევუწყობთ საქართველოს ეკონომიკურ ძლიერებას და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას”, - განაცხადა ერინ ელიზაბეტ მაკკიისმა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამებზე, ფერმერების მხარდაჭერაზე თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებისა და მართვის მიმართულებებით; ასევე, ეკოტურიზმში ინვესტიციების განხორციელების მნიშვნელობაზე.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, ახალი მასშტაბური პროგრამის - „ძლიერი სოფლის პროგრამა“ (2022-2027) ფარგლებში, 23.7 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოხმარდება საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ოთარ შამუგია, აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის ვიცეპრეზიდენტს ევროპასა და აზიაში ანტონელა ბასანის შეხვდა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ აშშ-ის შინაგან დეპარტამენტში გამართულ შეხვედრაზე მადლობა გადაუხადა მსოფლიო ბანკის ვიცეპრეზიდენტს ევროპასა და აზიაში ანტონელა ბასანის, 30 წლის განმავლობაში, მსოფლიო ბანკის მხრიდან, მიმდინარე რეფორმების განხორციელების პროცესში გაწეული მნიშვნელოვანი მხარდაჭერისთვის.

„2014 წლიდან, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, საქართველოში ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტი მიმდინარეობს. პროექტი მიზნად ისახავს ირიგაციისა და დრენაჟის მომსახურებების, ასევე, მიწის რეგისტრაციისთვის საჭირო პოლიტიკისა და პროცედურების გაუმჯობესებას. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გვაქვს კარგი შედეგები ამ მიმართულებით, რასაც ძალიან ვაფასებთ“, - განაცხადა მინისტრმა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ 2023 წელს დაიწყო მსოფლიო ბანკის ახალი საინვესტიციო პროექტი „საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობა, ირიგაცია და მიწა“ (GRAIL), რომელიც მიმართულია მდგრადი და პროდუქტიული სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. პროექტის ჯამური ღირებულება 150 მლნ ევროა.

როგორც მსოფლიო ბანკის ვიცეპრეზიდენტმა აღნიშნა, მსოფლიო ბანკი გააგრძელებს საქართველოსთან აქტიურ თანამშრომლობას და სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროექტების განხორციელებას. ანტონელა ბასანიმ დადებითად შეაფასა მინისტრის უშუალო ჩართულობა მსოფლიო ბანკის პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

შეხვედრას, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში დავით ზალკალიანი და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი ესწრებოდნენ.

საქართველოში კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი და დაბალემისიიანი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ახალი პროექტი განხორციელდება

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (UNFAO) საქართველოში ახალი პროექტის განხორციელებას იწყებს. პროექტის მიზანი კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი და დაბალემისიიანი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობაა.

ორწლიან ახალ პროექტს ხელი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UNFAO) წარმომადგენელმა საქართველოში, რაიმუნდ იელემ მოაწერეს.

პროექტი „სტრატეგიული მზაობა საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განსახორციელებლად და კლიმატის მდგრადობის მისაღწევად: სოფლის მეურნეობის სექტორის ტრანსფორმაცია დაბალემისიიანი და კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი მიდგომებით“ დაფინანსებულია კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) მიერ. პროექტის ბიუჯეტი 500 000 აშშ დოლარს შეადგენს.

შეხვედრაზე ოთარ შამუგიამ მადლობა გადაუხადა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას მჭიდრო პარტნიორული თანამშრომლობისთვის და ვრცლად ისაუბრა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში პროგრესის და ამ პროცესში FAO-ს მხარდაჭერის მნიშვნელობის შესახებ.

„თქვენთან თანამშრომლობა უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყანაში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. ვფიქრობ, ახალი პროექტის ფარგლებში, ჩვენ შევძლებთ ეფექტიანი შედეგების მიღწევას“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ

მინისტრმა სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტების ეფექტიანობის შეფასების კვლევის უზრუნველყოფის საკითხი განიხილა. ოთარ შამუგიამ ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში FAO-ს მხარდაჭერის მნიშვნელობასაც გაუსვა ხაზი.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UNFAO) წარმომადგენელ რაიმუნდ იელეს განცხადებით, საქართველო FAO-სთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია; ორგანიზაცია კვლავ გააგრძელებს ქვეყანაში დარგის განვითარების მხარდაჭერას.

„FAO-სთვის მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში საქართველოს მხარდაჭერა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება გარემოსათვის საფრთხის შექმნის გარეშე. საქართველოს მხარს დავუჭერთ, განახორციელოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ეროვნული მიზნები. ჩვენი სურვილია, გავაძლიეროთ სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანების კლიმატისადმი მედეგობა, უზრუნველვყოთ მწვანე ეკონომიკური ზრდა და ხელი შევუწყოთ ქვეყნის საერთო მდგრად მომავალს“, – განაცხადა რაიმუნდ იელემ.

შეხვედრას გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UNFAO) წარმომადგენლის მოადგილე მამუკა მესხი და სამინისტროს შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია ქვემო სვანეთში, სოფელ ცანაში არსებულ ეკოლოგიურ ვითარებას ადგილზე გაეცნო. სოფელ ცანაში, ისევე როგორც სოფელ ურავში, დარიშხანის შემცველობის ნარჩენების განთავსების კერები არსებობს, რომელიც 1993 წელს, ამ ტერიტორიაზე არსებული სამთო-ქიმიური ქარხნების დახურვის შემდეგ წარმოიქმნა. დარიშხანის საბადოები დაკონსერვებულია, დარიშხანის წარმოება კი, შეწყვეტილი.

„ჩვენი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა გარემოსდაცვითი კუთხით რეფორმების განხორციელება და არსებული გამოწვევების წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა. ჯერ კიდევ წინა საუკუნეებიდან მოგვყვება მემკვიდრეობა სახიფათო ნარჩენების კუთხით და მათ შორის არის სოფელ ცანასა და სოფელ ურავში არსებული ადგილები. ჩვენ აქ გარკვეული ღონისძიებები გავატარეთ გასულ წლებში, თუმცა ბოლომდე ეს საკითხი არ არის მოწესრიგებული. მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება სწრაფად გადავდგათ კონკრეტული ნაბიჯები. ჩვენ ძალიან მალე დავიწყებთ ამ ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოებს, პარალელურ რეჟიმში, მომზადდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი და შესაბამისი პროექტი განხორციელდება, რაშიც აუცილებლად ჩაერთვებიან საერთაშორისო ექსპერტები. ვფიქრობ, რომ მომავალი წლის ბოლოსთვის ყველა სამუშაო იქნება დასრულებული და ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ იქნება გადაჭრილი“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულებით, სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო განისაზღვრა ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ცანას ტერიტორიაზე დარიშხანშემცველი მადნის გადამუშავებით წარმოქმნილი ნარჩენების განთავსების ადგილების სისტემურ მართვასა და მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ უწყებად, რათა აქტიური ნაბიჯები გადაიდგას პრობლემის მოსაგვარებლად. იგეგმება დაბინძურებული ტერიტორიების კაპიტალური შემოღობვა და მომავალი წლიდან დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის შედეგად სრულად გადაიჭრება აღნიშნული პრობლემა.

მინისტრთან ერთად, სოფელ ცანაში რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული პაპუნა მარგველიძე, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა ენუქიძე, მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი, აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოსა (DTRA) და სამინისტროს შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

მხარის სახელმწიფო რწმუნებულის, პაპუნა მარგველიძის განცხადებით, სახელმწიფომ დაიწყო პროექტზე მუშაობა, რომელიც რეგიონში 30 წლიან პრობლემას მოაგვარებს. პროექტის განხორციელების შედეგად, ნარჩენების სრული უტილიზაცია და კონსერვაცია მოხდება.

„მოხარული ვარ, რომ მინისტრთან ერთად, მოვინახულეთ უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილები. ჩვენ ერთი კვირის განმავლობაში გავეცნობით ქვეყნის შესაძლებლობებს ქიმიური უსაფრთხოების მიმართულებით“, - აღნიშნა ამერიკის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს პროგრამის „ქიმიური ელიმინაცია და უსაფრთხოება“ ოფიცერმა, სკაილარ ბეითსმა.

საქართველოს მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის ფარგლებში, ქვეკომპონენტი ამოქმედდა, რომლითაც ერთწლოვანი კულტურების მოყვანის მიმდინარე ხარჯების დაფინანსების მიზნობრიობით გაცემული სესხის პროცენტის თანადაფინანსებას სოფლის განვითარების სააგენტო განახორციელებს

ქვეკომპონენტის ამოქმედება ხელს შეუწყობს ერთწლოვან სასოფლო-სამეურნეო კულტურებში თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლის ზრდას. მათ შორის, მარცვლეულისა და იონჯის პირველადი წარმოების ხელშეწყობას.

სოფლის განვითარების სააგენტო მოახდენს ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხის არა უმეტეს 12 თვის პროცენტის თანადაფინანსებას წლიური 9%-ის ოდენობით, სესხის გაცემიდან არა უმეტეს 14 თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი დაადასტურებს სესხის მიზნობრივად ხარჯვას. ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის თანხა განისაზღვრა 10,000 ლარიდან 100, 000 ლარის ჩათვლით.

სესხის მიზნობრიობა მოიცავს ერთწლოვანი კულტურებისა და იონჯის ერთი საოპერაციო წლის ხარჯების დაფინანსებას, კერძოდ, სათესი და სარგავი მასალის, პესტიციდების, ორგანული და მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებების, შრომითი რესურსებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავების და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის გამოყენებული ტექნიკის საწვავ-საცხები მასალების მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას.

მიწის ნაკვეთი, სადაც იგეგმება სესხის თანხის ინვესტირება, უნდა იყოს მსესხებლის საკუთრებაში, თანასაკუთრებაში ან სარგებლობაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (თანასაკუთრების შემთხვევაში, უნდა არსებობდეს თანამესაკუთრეების თანხმობა სესხის ვადის განმავლობაში ქონებით სარგებლობის თაობაზე, ხოლო სარგებლობის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადა არ უნდა იყოს სესხის ვადაზე ნაკლები).

ქვეკომპონენტით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეებსა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოებისა).

აგროკრედიტის გაცემა დაიწყება განკარგულების ამოქმედების შემდეგ; საფინანსო ინსტიტუტებს შეეძლებათ, სესხები გასცენ 2023 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

„ერთწლოვანი კულტურების დაფინანსებისთვის“ ქვეკომპონენტი პროექტს 2020 წლიდან დაემატა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში იმამურა აკირას შეხვდა

ოთარ შამუგიამ ელჩს, რომელმაც საქართველოში მისია დაასრულა, მადლობა გადაუხადა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

შეხვედრაზე მხარეებმა სოფლის მეურნეობის, კლიმატის ცვლილების და ნარჩენების მართვის მიმართულებით არსებული მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების მნიშვნელობის შესახებ ისაუბრეს.

იმამურა აკირამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო იაპონიისთვის საიმედო პარტნიორი ქვეყანაა, რაც მტკიცე საფუძველია ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გასაღრმავებლად.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრას სამინსიტროს შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აგროსასურსათო პროდუქციით ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ და უნგრეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ისტვან ნაგიმ ხელი თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ ოფიციალურ შეხვედრაზე, მხარეებმა საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობები, თაფლისა და ღვინის ექსპორტის მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს.

ოთარ შამუგიამ უნგრეთთან დიპლომატიური და პარტნიორული ურთიერთობების მნიშვნელობაზე ისაუბრა და უნგრელ კოლეგას ქვეყანაში ბიზნესის წარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

„ჩვენთვის, როგორც კანდიდატის სტატუსის მიღების მსურველი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნგრეთის მხარდაჭერა, პარტნიორული თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება. უნგრეთის სოფლის მეურნეობის მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე, ვისაუბრეთ სხვადასხვა სექტორში თანამშრომლობის გაძლიერებაზე, მათ შორის, ღვინის ექსპორტის გაზრდის შესაძლებლობებზე. არსებობს ყველა გარემოება, რომ ბიზნესსექტორს ხელი შევუწყოთ დაამყარონ კავშირები, მოვიზიდოთ ინვესტიციები იმ სექტორებში, რომელიც შეიძლება მიმზიდველი იყოს უნგრული მხარისთვის“,- განაცხადა ოთარ შამუგიამ.

„საქართველოს, სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია. ვფიქრობ, გაფორმებული მემორანდუმი მტკიცე საფუძველს შეუქმნის არსებული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას. ვიმედოვნებ, ჩვენი თანამშრომლობა უახლოეს მომავალში ხელშესახები და ურთიერთსასარგებლო შედეგების მომტანი იქნება“,- განაცხადა ისტვან ნაგიმ.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო მერძევეობისა და მესაქონლეობის განვითარების მიმართულებით ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობის საკითხებსაც.

შეხვედრას მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი, მინისტრის მოადგილეები თენგიზ ნასარიძე და იური ნოზაძე, ასევე, შესაბამისი უწყების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

ვიზიტის ფარგლებში, უნგრეთის დელეგაცია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიღაურას მრავალწლოვანი კულტურების საცდელ-სადემონსტრაციო ბაზას ესტუმრა. ცენტრის დირექტორმა ლევან უჯმაჯურიძემ მინისტრს ბაზაზე გაშენებული ვაზის კოლექცია დაათვალიერებინა. სტუმრები საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიას, ამ მიმართულებით ქვეყნის პოტენციალს და ქართული იშვიათი ვაზის ჯიშებისგან დაყენებულ ღვინოებს გაეცნენ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ თენგიზ ნასარიძემ სახელმწიფოს ხელშეწყობით შექმნილი ქარხნის ინფრასტრუქტურა უნგრეთის სოფლის მეურნეობის მინისტრს და უნგრული დელეგაციის წევრებს გააცნო

მცხეთის მუნიციპალიტეტში მოქმედი კომპანია „აუგუსტის ხილის ქარხანა“ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის აგროლიზინგის კომპონენტით სარგებლობს; აგროლიზინგის თანხა 250,000 ლარს აჭარბებს. ჯამურად, საწარმოში, 3 მლნ ლარის ინვესტიციაა განხორციელებული.

ქარხანა ხილის ჯემებს და წვენებს აწარმოებს. პროდუქციის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზე, ქსელურ მარკეტებში, ასევე, გადის ექსპორტზე დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ისრაელსა და ყატარში.

შექმნილია ბულანჟერიის ქსელი „აუგუსტი“, რომელიც აღნიშნულ საწარმოში დამზადებული პრემიუმ ხარისხის პროდუქციით მარაგდება.

საქართველოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, უნგრეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი ისტვან ნაგი და უნგრული დელეგაციის წევრები შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტსის“ საწარმოში იმყოფებოდნენ

სახელმწიფოს მხარდაჭერით შექმნილი საწარმოს ინფრასტრუქტურას და ხილის გადამუშავების მიმდინარე პროცესს უნგრელი მინისტრი და დელეგაციის წევრები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ შამუგიასთან ერთად გაეცნენ.

მცხეთის მუნიციპალიტეტში მოქმედი ხილის გადამმუშავებელი საწარმო „კავკასუს ორგანიკ ფრუტსი“ სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითაა შექმნილი. საწარმოში ჯამურად 1,7 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციაა განხორციელებული, მათ შორის, სახელმწიფო თანადაფინანსება 500,000 ლარი, ხოლო 500,000 აშშ დოლარი შეღავათიანი აგროკრედიტია.

კომპანია სხვადასხვა სახეობის ხილის ჩირს აწარმოებს, რისთვისაც ადგილობრივ ნედლეულს იყენებს. პროდუქცია საექსპორტოა და გერმანიაში, ბელგიასა და ჰოლანდიაში იყიდება.

უნგრული დელეგაციის წევრები, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თენგიზ ნასარიძესთან ერთად, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაზალეთშიც იმყოფებოდნენ, სადაც მეფუტკრე ფერმერ ვლადიმერ ვარდოსანიძის მეურნეობაში ფუტკრის რძის წარმოების პროცესს გაეცნენ.

უნგრეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის, ისტვან ნაგის საქართველოში სამუშაო ვიზიტის ბოლოს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ სტუმარს ქარვასლას ისტორიულ სარდაფში განთავსებული ღვინის მუზეუმი დაათვალიერებინა.

მიწისქვეშა სივრცე მე-15 საუკუნით თარიღდება, რამდენიმე დარბაზს მოიცავს და გვირაბებით უკავშირდება ერთმანეთს. უნგრელმა მინისტრმა მუზეუმში ღვინის წარმოებასთან დაკავშირებული არტეფაქტები დაათვალიერა, საქართველოში ღვინის დაყენების ისტორიას გაეცნო და ქართული ღვინო დააგემოვნა.

სახელმწიფოს ხელშეწყობით ქარელის მუნიციპალიტეტში სეტყვის საწინააღმდეგო ბადეების მწარმოებელი ახალი საწარმო გაიხსნა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულ მიხეილ შაყულაშვილთან, ადგილობრივი ხელისუფლების და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგნელებთან ერთად, ახალი საწარმოს - შპს „აგრობადეს“ გახსნის ღონისძიებას დაესწრო.

საწარმო ქარელის რაიონის სოფელ რუისში მდებარეობს და სეტყვის საწინააღმდეგო ბადეებს აწარმოებს. საწარმოში 37 ადგილობრივია დასაქმებული.

„ახალი საწარმო სახელმწიფოს და USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის მხარდაჭერით შეიქმნა. ვფიქრობ, სეტყვისგან დამცავი ბადეების ადგილობრივი წარმოება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფერმერების ხელმისაწვდომობას აღნიშნულ სისტემებზე. ჩვენი მიზანია, ფერმერები მაქსიმალურად იყვნენ დაცულები სეტყვით გამოწვეული ზარალისგან, რისთვისაც ვეხმარებით შესაბამისი სისტემების შესყიდვებში როგორც შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის, ასევე „დანერგე მომავალის“ პროექტის ფარგლებში. ამავდროულად, უკვე 2014 წლიდან ვახორციელებთ აგროდაზღვევის პროგრამას და მოვუწოდებთ ფერმერებს, ისარგებლონ სახელმწიფო პროგრამით. ჩვენ ყოველწლიურად ვაახლებთ პროგრამას საჭიროებების გათვალისწინებით. წელსაც გვაქვს სიახლე - აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში მევენახე ფერმერები ისარგებლებენ უკვე 70%-იანი თანადაფინანსებით, რაც კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის პროგრამას. აქვე აღვნიშნავ, რომ მისასალმებელია ყველა წამოწყება, ახალი საწარმო, რომელიც ქმნის პროდუქციას, თავისი წვლილი შეაქვს ეკონომიკაში და ასაქმებს ჩვენს მოსახლეობას“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

საქართველოში USAID მისიის დირექტორ ჯონ პენელის განცხადებით, კიდევ ერთი ახალი საწარმოს გახსნა არის საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითი.

„USAID ამაყობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით. ეს არის ქვეყანაში პირველი საწარმო, რომელიც აწარმოებს სეტყვის საწინააღმდეგო ბადეებს, რაც ასე მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისთვის. საწარმო წარმოებული პროდუქციით დაეხმარება ფერმერებს მოსალოდნელი ზარალის თავიდან აცილებაში და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების საქმეში", - განაცხადა ჯონ პენელიმ.

შპს „აგრობადე“, ყოველწლიურად, 1 მილიონ m^2 სეტყვის საწინააღმდეგო ბადის და 600,000 ბადე-ჩანთის დამზადებას გეგმავს. ბადე-ჩანთები ბოსტნეულის შეფუთვისა და ტრანსპორტირებისთვის გამოიყენება. ქართული წარმოების პროდუქციის შეძენას ფერმერები იმპორტირებულზე შეღავათიან ფასად შეძლებენ.

როგორც შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა, მიხეილ შაყულაშვილმა განაცხადა, შიდა ქართლის რეგიონში სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი წამყვანია და, შესაბამისად, სეტყვის საწინააღმდეგო ბადეებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია. მსგავსი პროექტები, სახელმწიფოს მხრიდან, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე, ყოველთვის მხარდაჭერილი იქნება.

სოფლის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით, კასპის მუნიციპალიტეტში ახალი სასათბურე მეურნეობა შეიქმნა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩანგილაში, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სასათბურე მეურნეობა დაათვალიერა.

სასათბურე მეურნეობაში, ჯამურად, 2 მლნ ლარის ინვესტიცია განხორციელდა, მათ შორის, 850,000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტია. სოფლის განვითარების სააგენტო სესხის 11 % -ს აფინანსებს. მეურნეობაში, წლიურად, 300 ტონამდე მარწყვის წარმოებაა შესაძლებელი.

„სახელმწიფოს მხარდაჭერით, კიდევ ერთი თანამედროვე ტექნოლოგიებით მოწყობილი სასათბურე მეურნეობა შეიქმნა, სადაც მაღალი ხარისხის პროდუქცია იწარმოება. ყველა ჩვენი პროგრამა, რომელსაც ვახორციელებთ, ემსახურება მიზანს, ხელი შევუწყოთ ფერმერებს, აწარმოონ მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიანი პროდუქცია. სახელმწიფო ეხმარება მათ როგორც ფინანსური რესურსებით, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიებზე წვდომით, ცოდნის ამაღლებით. საბოლოო ჯამში, ეს გვაძლევს კონკრეტულ შედეგებს. იმედი გვაქვს, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი ფერმერი დაინტერესდება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით და ჩვენი სახელმწიფო პროგრამებით, ჩვენი ხელშეწყობით, შევძლებთ ქვეყანაში კიდევ უფრო მეტი მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებას“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

სასათბურე მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „მადლიერი“ საკუთრებაა. კოოპერატივის ხელმძღვანელის, გიორგი თავაძის განცხადებით, სოფლის განვითარების პროგრამების ხელმისაწვდომობის გარეშე სასათბურე მეურნეობის მოწყობას ვერ შეძლებდა.

„სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის გარეშე ასეთ თანამედროვე სტანდარტების მეურნეობის გაშენებას ვერ შევძლებდით. სასათბურე მეურნეობაში მოსავლის აღება 12 თვის განმავლობაში უწყვეტად ხორციელდება და მარწყვის რეალიზაცია შესაძლებელი როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე“, - განაცხადა გიორგი თავაძემ.

აღსანიშნავია, რომ „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში, სასათბურე მეურნეობების შექმნისა და განვითარების მიმართულებით, საქართველოს მასშტაბით, ბანკების მიერ გაიცა 143 მლნ ლარზე მეტი ღირებულების სესხები, სადაც სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებამ 23,5 მლნ ლარზე მეტი შეადგინა. რაც შეეხება შიდა ქართლის რეგიონს, სასათბურე მეურნეობების განვითარების მიზნობრიობით 153 ბენეფიციარზე გაცემულია 13,9 მლნ ლარის ღირებულების 198 სესხი, სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 2 მლნ ლარს აღემატება.

ასპინძაში, სახელმწიფოს მხარდაჭერით, რძის გადამმუშავებელი მცირე საწარმო ამოქმედდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ სამცხე-ჯავახეთში, ასპინძაში, სახელმწიფოს მხარდაჭერით შექმნილი რძის გადამმუშავებელი მცირე საწარმო დაათვალიერა.

ასპინძის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივმა ფერმერმა, გიორგი ჯვარიძემ, მცირე საწარმოს მოსაწყობად, მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამით ისარგებლა; პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოს თანადაფინანსება 38,000 ლარი, ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა 10,000 ლარია.

„სახელმწიფოსთვის მესაქონლეობისა და რძის პირველადი წარმოების ხელშეწყობა ერთ-ერთი პრიორიტეტია და, შესაბამისად, არაერთ მხარდამჭერ პროექტს ვახორციელებთ. შეღავათიანი აგროკრედიტით და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან თანამშრომლობით, წელს, დაახლოებით, ხუთასამდე ბენეფიციარს დავუფინანსებთ პირველად წარმოებას. აღნიშნული მიმართულებით მხარდაჭერას აქტიურად გავაგრძელებთ“,- განაცხადა ოთარ შამუგიამ.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ახალ საწარმოში ყველის გადამუშავება ტრადიციული მეთოდით ხდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ტრადიციების აღდგენა-შენარჩუნებისთვის. გარდა ამისა, რეგიონში წარმოების ზრდა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

გიორგი ჯვარიძის განცხადებით, ტენილი ყველის წარმოება რთული პროცესია; სახელმწიფოს ხელშეწყობით კი, მან შეძლო ისეთი საწარმოს მოწყობა, რომელიც ტენილი ყველის ტრადიციული მეთოდით მომზადებას სჭირდება. ფერმერი დღიურად 20კგ ყველს აწარმოებს და მის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე ახდენს.

რძის გადამმუშავებელ მცირე საწარმოში, მინისტრთან ერთად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე დავით ვარდიაშვილი, ასპინძის მერი როსტომ მაგრაქველიძე, ადგილობრივი ხელისუფლებისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

„მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის პროგრამა“ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. პროგრამის ფარგლებში, მიზნობრივ რეგიონებში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, ქვემო ქართლში, კახეთში, იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთში 313 ბენეფიციარს სხვადასხვა პროექტი დაფინანსდა. ჯამური ინვესტიცია 28 მლნ ლარზე მეტს შეადგენს, სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 20 მლნ ლარზე მეტია.

ბაქოში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე CASPIAN AGRO 2023, საქართველოს სტენდზე პრეზიდენტ ილჰამ ალიევს უმასპინძლეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, სოლომონ პავლიაშვილმა და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ზურაბ პატარაძემ საქართველოს სტენდზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს უმასპინძლეს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სოფლის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, ქ. ბაქოში, სოფლის მეურნეობის საერთაშორისო გამოფენაზე CASPIAN AGRO 2023, 10 ქართულმა კომპანიამ დამთვალიერებელს საკუთრი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გააცნო.

სტენდზე წარმოდგენილი იყო კომპანიების: აჩინებული, გემუანი, ანიგოზი, ბლუ გარდენი, ჯეო ნატურალი, National Delicacy, ოჯახური, ქვევრის ღვინის მარანი, კავკასუს ორგანიკ ფრუთსი და ფუდოლიზის პროდუქცია - ქართული კაკალი, მოცვი, სხვადასხვა სახის სუნელი, თაფლი, ჩირი, სუბლიმირებული ხილი, ორგანული წვენები და სხვა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს.

როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, სოლომონ პავლიაშვილმა აღნიშნა, საერთაშორისო გამოფენებზე ქართული პროდუქციის წარდგენა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოპულარიზაციის მასშტაბების და, შესაბამისად, საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

„აზერბაიჯანი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია. სახელმწიფოს მხარდაჭერით, ჩვენი მეწარმეები და ფერმერები აქტიურად იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენაში CASPIAN AGRO. მონაწილეთა უმეტესობა სახელმწიფო პროექტების ბენეფიციარია. ვფიქრობ, ისინი, გამოფენის ფარგლებში, კონტაქტს დაამყარებენ ახალ პარტნიორებთან და აითვისებენ ახალ ბაზრებს“, - განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

საერთაშორისო გამოფენას CASPIAN AGRO, ყოველწლიურად, 13,000-ზე მეტი ვიზიტორი ჰყავს. მიმდინარე წელს, გამოფენაში მონაწილეობას 25 ქვეყანა და სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი 500-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია იღებს. CASPIAN AGRO 2023 17 მაისს გაიხსნა და 19 მაისს დასრულდა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, მთაწმინდის პარკში ჩაისა და თაფლის ყოველწლიური ფესტივალი გაიმართა

ჩაისა და თაფლის ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ჩაის ადგილობრივმა მწარმოებელმა და იმპორტიორმა 15-მდე კომპანიამ, რომლებმაც სტუმრებს სხვადასხვა სახეობის პროდუქცია შესთავაზეს. ღონისძიებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თენგიზ ნასარიძე და სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი დავით წითლიძე ესწრებოდნენ.

„ქართული ჩაი თავის საგემოვნო და ხარისხობრივი მაჩვენებლებით გამორჩეულია. სამინისტრო აქტიურად მუშაობს ქვეყანაში მეჩაიეობის და მეფუტკრეობის დარგების განვითარების მიმართულებით და მხარს უჭერს ფერმერებსა და მეწარმეებს არაერთი სახელმწიფო პროგრამით. აღნიშნული ფესტივალი, უკვე წლებია, სამინისტროს მხარდაჭერით იმართება და ქართული ჩაისა და თაფლის პოპულარიზაციას ემსახურება. ჩვენ გავაგრძელებთ მწარმოებლების აქტიურ მხარდაჭერას როგორც წარმოების განვითარების, ასევე პოპულარიზაციის მიმართულებით“, - განაცხადა თენგიზ ნასარიძემ.

ჩაისა და თაფლის ფესტივალი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისში, სხვადასხვა ლოკაციაზე, 2005 წლიდან იმართება. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში კი, ფესტივალს მთაწმინდის პარკი მასპინძლობს. ფესტივალის მიზანია ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა და მომხმარებლებში ნატურალური ჩაისა და თაფლის პოპულარიზაცია. ჩაისა და თაფლის ფესტივალი მეწარმეებს ხელს უწყობს საკუთარი პროდუქცია უშუალოდ გააცნონ მომხმარებლებს და გაზარდონ მისი ცნობადობა, მოიძიონ ადგილობრივი და უცხოელი პარტნიორები და დაამყარონ საქმიანი კონტაქტები.

ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს რაგბის კავშირს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს რაგბის კავშირს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან მეხუზლამ და საქართველოს რაგბის კავშირის გენერალურმა დირექტორმა, იოსებ ტყემალაძემ მოაწერეს.

მემორანდუმის ფარგლებში, ქართული ღვინისა და ქართული რაგბის პოპულარიზაციის მიზნით, რაგბის 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობის პერიოდში, ერთობლივი ღონისძიებები ჩატარდება. საფრანგეთის იმ ქალაქებში, სადაც საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების შეხვედრებია დაგეგმილი, გაიმართება ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციები, საზოგადოებას საშუალება ექნება გაეცნოს ქართული სპორტის უძველეს ისტორიასა და ტრადიციებს.

ლევან მეხუზლას განცხადებით, საქართველოღვინის სამშობლოა და, შესაბამისად, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართველებისთვის ღვინო არის ქართული კულტურის, იდენტობის, ტრადიციების და ისტორიის ნაწილი. რაგბიც, თავის მხრივ, რა თქმა უნდა, გამოხატავს ქართველების მებრძოლ სულს და ხასიათს. მან აღნიშნა, რომ ეს მემორანდუმი მნიშვნელოვან შედეგების მოუტანს ორივე მიმართულებას და რაგბის მსოფლიო ჩემპიონატი იქნება საუკეთესო პლატფორმა ქართული ღვინის და ზოგადად, საქართველოს პოპულარიზაციისთვის.

„მსოფლიოში რაგბის გულშემატკივრების რაოდენობა დაახლოებით 1.2 მილიარდია. ჩვენი გამარჯვებით ჩვენ მოვიპოვეთ ნდობა, რეიტინგში ვართ მეთერთმეტე და გვაქვს კიდევ უფრო დიდი ამბიცია. ჩვენი ამ მაღალი ნდობით გვინდა, ქართული პროდუქტები, პირველ რიგში ქართული ღვინო, შევთავაზოთ მთელ მსოფლიოს“, - აღნიშნა იოსებ ტყემალაძემ.

მემორანდუმის გაფორმების შემდგომ, გაიმართა ყოფილი მორაგბისა და პოლიტიკოსის, ირაკლი ტრიპოლსკის ფილმის „ლელობურთი“ პრემიერა. ფილმი მრავალსაუკუნოვან ქართულ თამაშში „ლელო“ რაგბის ფესვებს და დიდ ბრიტანეთში, ლელოს მსგავსი თამაშის ტრადიციასთან მის კავშირს იკვლევს.

ღონისძიებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, ღვინის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების, რაგბის კავშირის და ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მემორანდუმის შესაბამისად, რაგბის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდგომ, მსგავსი ფორმატის ღონისძიებები თანმდევი გახდება ყველა იმ მსხვილი საერთაშორისო ტურნირის, სადაც ქართველი ბორჯღალოსნები მიიღებენ მონაწილეობას.

ასოციაციის „ბუნებრივი ღვინო“ ორგანიზებით და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, თბილისში ბუნებრივი ღვინის ყოველწლიური ფესტივალი „ZERO COMPROMISE“ გაიმართა

ფესტივალში ასოციაციის წევრი 100 ადგილობრივი მარანი და სხვადასხვა ქვეყნის მარნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა ღონისძიების მონაწილე მარნების მიერ წარმოდგენილ პროდუქციას გაეცნო.

„ZERO COMPROMISE (ზერო კომპრომაისი) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფესტივალია, სადაც ბევრი და საინტერესო მარანია წარმოდგენილი საკუთარი პროდუქციით. ფესტივალის მიზანია ქართული ღვინის პოპულარიზაცია საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზრებზე. ფესტივალი ემსახურება ქართული ღვინის ისტორიისა და ტრადიციების შესახებ ცოდნის გავრცელებას, სამომხმარებლო კულტურის გაზრდას და ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას“, - აღნიშნა ლევან მეხუზლამ.

ფესტივალი ტრადიციულად ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. სპეციალურად აღნიშნული ღონისძიებისთვის, საქართველოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (აშშ, კანადა, საფრანგეთი, ესპანეთი, იაპონია, შვეიცარია, სამხრეთ კორეა, ნიდერლანდებია, ავსტრია, შვედეთი, დანია, გაერთიანებული სამეფო, მექსიკა, ავსტრალია) სომელიეები, იმპორტიორები, ღვინის მწერლები ესტუმრნენ.

საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ასოციაციის „ბუნებრივი ღვინო“ მხარდაჭერით, ფესტივალის ფარგლებში შემეცნებითი და ღვინის ტურები ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რაც ადგილობრივ მარნებს შესაძლებლობას აძლევს, პოტენციურ მყიდველებს ადგილზე გააცნონ საკთარი პროდუქცია.

ბუნებრივი ღვინის საერთაშორისო ფესტივალის პარტნიორია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ); მხარდამჭერები არიან საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და Veli Store.

ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „MEIBURG WINE MEDIA'' ხელმძღვანელის, ღვინის მაგისტრ დებრა მეიბურგის ორგანიზებით, საქართველოს ჩინეთიდან და სინგაპურიდან ღვინის პროფესიონალები სტუმრობდნენ.

ტურის ფარგლებში, 14 კაციანი ჯგუფის წევრებმა, რომლის შემადგენლობაში სომელიეები და იმპორტიორები შედიოდნენ, ქართლსა და კახეთში ღვინის საწარმოები დაათვალიერეს. სტუმრები იმყოფებოდნენ თბილისში გამართულ ბუნებრივი ღვინოების ყოველწლიურ ფესტივალზეც „ZERO COMPROMISE“, სადაც შესაძლებლობა მიეცათ, გაცნობოდნენ 100-მდე მწარმოებლის პროდუქციას.

ღვინის მაგისტრის, დებრა მეიბურგის შეფასებით, ქართულ ღვინოს აზიის ბაზარზე დიდი პერსპექტივა აქვს.

„როდესაც ვსაუბრობთ აზიაზე, მხედველობაში უნდა მივიღოთ ქართული ღვინის სხვადასხვა ბაზარი - შანხაი, პეკინი, ჩენგდუ, ტაივანი, ჰონგ-კონგი, სინგაპური, კორეა და იაპონია. ამ ბაზრებიდან, თითოეულს აქვს განსხვავებული გემოვნება, განსხვავებული განვითარების დონე და ქართული ღვინის შესახებ განსხვავებული ცოდნა, რაც ვფიქრობ, რომ ძალიან კარგია მწარმოებლებისთვის, რადგან ამ ბაზრებზე ყველასთვის არის ადგილი. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ქართულ ღვინოებზე მუშაობისას, შესამჩნევია ხარისხის საოცარი ზრდა, საერთაშორისო გემოს და სტილის გაცნობიერება, ასევე, ეტიკეტების, წარდგენის სიზუსტე“, - აღნიშნა დებრა მეიბურგმა.

აზიის ქვეყნები, განსაკუთრებით კი ჩინეთი, რჩება ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრად. ჩინეთში, ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით, 2023 წელს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიება გაიმართება.

თბილისში, საქართველოს სომელიეთა ასოციაციამ, ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით შექმნილი საერთაშორისო სასწავლო პროგრამის „ქართული ღვინო" პრეზენტაცია გამართა.

ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის აღნიშნული პროექტი ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით ხორციელდება.

პროგრამის პრეზენტაციას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა და საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტი შალვა ხეცურიანი უძღვებოდნენ.

„ღვინის ეროვნული სააგენტო მიესალმება და მხარს უჭერს ყველა იმ წამოწყებას, რომელიც მიმართულია ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდისკენ. საქართველო ღვინის სამშობლოა და, შესაბამისად, ღვინო არის ქართული კულტურის და ისტორიის ნაწილი. ყოველივე აღნიშნულის შესახებ კვალიფიციური განათლებისა და ცოდნის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია ღვინის სექტორის განვითარებისთვის“, - განაცხადა ლევან მეხუზლამ.

როგორც შალვა ხეცურიანმა აღნიშნა, საერთაშორისო სასწავლო პროგრამა შექმნილია სპეციალურად ქართველი და უცხოელი ღვინის პროფესიონალებისა და მოყვარულებისთვის.

„პროგრამის მიზანია, ღვინის პროფესიონალებმა საფუძვლიანად შეძლონ ქართული ღვინის შესწავლა და შემდგომ წარმატებულად უზრუნველყონ მისი პოპულარიზაცია საერთაშორისო და შიდა ბაზრებზე. პროგრამა მოიცავს ყველა იმ აუცილებელ ცოდნას, რაც საჭიროა მომხმარებელთათვის ქართულის ღვინის გასაცნობად როგორც საქართველოში, ისე საექსპორტო ბაზრებზე”, - განაცხადა შალვა ხეცურიანმა.

ახალი სასწავლო კურსის ხანგრძლივობა 7 თვეა. პროგრამა სრულდება გამოცდით და აქვს ორი საკვალიფიკაციო დონე. კურსზე რეგისტრაცია უკვე დაწყებულია; სწავლა დაიწყება მიმდინარე წლის შემოდგომაზე. მსურველებს სხვადასხვა საგანს 25 ლექტორი შეასწავლის. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური სასწავლო პროგრამები ხორციელდება საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში.

საქართველოს სომელიეთა ასოციაცია (GSA) 2003 წელს შეიქმნა; 2008 წლიდან არის წევრი საერთაშორისო სომელიეთა ასოციაციის (ASI), რომელიც აერთიანებს 63 ქვეყანას. GSA არის საქართველოში ღვინის რამდენიმე საგანმანათლებლო სასწავლო კურსის ინიციატორი, მათ შორის - International Sommelier, WSET და სხვა.

„ახალი ღვინის ფესტივალი“

ფესტივალი ღვინის ეროვნული სააგენტოს, თბილისის მერიის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და ასოციაციის ,,ქალები ღვინის ინდუსტრიაში'' (WIWI) მხარდაჭერით გაიმართა. ფესტივალი მიზნად ისახავს ქართული ტრადიციული ქვევრის ღვინის პოპულარიზაციას, ახალი ჯიშების გაცნობას, საქართველოში წარმოებული ღვინის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და ღვინის სამომხმარებლო კულტურის განვითარებას.

„ახალი ღვინის ფესტივალი“, ტრადიციულად, მონაწილეთა და სტუმართა სიმრავლით გამოირჩეოდა. ფესტივალში 100 ღვინის კომპანია და 128 საოჯახო მარანი, ასევე ღვინის სექტორთან დაკავშირებული კომპანიები მონაწილეობდნენ, მათ შორის, როგორც უკვე ცნობილი, ასევე ახალი მარნები ახალი ღვინოებითა და კონცეფციებით. ღვინის მწარმოებლებმა სტუმრებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 2022 წლის მოსავლის ღვინოები დააგენოვნებინეს.

„ახალი ღვინის ფესტივალი“ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან მეხუზლამ და საქართველოს „ღვინის კლუბის“ პრეზიდენტმა, მალხაზ ხარბედიამ გახსნეს. ღონისძიება, ტრადიციულად, ქვევრის გახსნის ცერემონიით დაიწყო.

„ახალი ღვინის ფესტივალი“ ქართული ღვინის პოპულარიზაციის გაზრდის, ასევე, ახალი მწარმოებლების, ახალი ჯიშებისა და ღვინოების წარმოჩენის საუკეთესო საშუალებაა. მეღვინეობის დარგისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო სეგმენტის განვითარების ხელშეწყობა, რასაც ღვინის ეროვნული სააგენტო სხვადასხვა მხარდამჭერი ღონისძიებით და პროგრამებით ახორციელებს“, - აღნიშნა ლევან მეხუზლამ.

„ახალი ღვინის ფესტივალი“ 2010 წლიდან ტარდება და მისი მასშტაბი ყოველ წელს იზრდება. ტრადიციულად, ახალი ღვინის ფესტივალს, მწარმოებლების გარდა, ქართველი და უცხოელი ღვინის პროფესიონალები და ღვინის მწერლები სტუმრობდნენ, რომლებიც სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოვიდნენ საქართველოში.

ლონდონის ღვინის საერთაშორისო გამოფენაში ქართული კომპანიები მონაწილეობენ

15-17 მაისს, ლონდონის საგამოფენო ცენტრში Olympia London ჩატარდა ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა London Wine Fair 2023, რომელშიც ღვინის ეროვნული სააგენტოსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 18 კომპანია მონაწილეობდა.

გამოფენის გახსნაზე, საქართველოს სტენდის სტუმრებს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სოფიო ქაცარავა და დესპანი გიორგი საგანელიძე მასპინძლობდნენ.

წელს, London Wine Fair 2023-ში მონაწილეობდა 29 ქვეყნის 415 კომპანია, რომელთაც სხვადასხვა სახეობის ალკოჰოლიანი სასმელი ჰქონდათ წარმოდგენილი. პრესტიჟულ გამოფენას, ტრადიციულად, მსოფლიოს სხვდასხვა ქვეყნიდან, ათასობით სტუმარი - ღვინის ექსპერტი, ღვინით ვაჭრობის სფეროს და მედიის წარმომადგენელი ესწრებოდა. გამომდინარე აქედან, London Wine Fair წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას ქართველი მწარმოებლებისთვის ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიების, პროდუქციის პოპულარიზაციისა და ექსპორტის გაზრდის კუთხით.

გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ბრიტანული კომპანიის Swirl Wine Group ხელმძღვანელმა, ღვინის მაგისტრმა, სარა ებოტმა (Sarah Abbott) ღვინის პროფესიონალებისთვის ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია გამართა. მასტერკლასზე წარმოდგენილი იყო 2022 წლის ღვინის საერთაშორისო კონკურსზე (IWSC) გამარჯვებული ქართული ღვინოები.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ბრიტანეთი ქართული ღვინისთვის ერთ-ერთი სტრატეგიული საექსპორტო ბაზარია და შესაბამისად, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიება აქტიურად ხორციელდება.

გამოფენა London Wine Fair 1981 წლიდან ტარდება და ღვინის სექტორში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად ითვლება.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ისტორია

ცნობილი ქართველი აგრონომის ერმილე ნაკაშიძის 1929 წელს გამოქვეყნებული წიგნი „მევენახეობა-მეღვინეობა გურია-სამეგრელოში, აჭარაში და აფხაზეთში“ 2018 წელს ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ განმეორებით გამოიცა.

ეს არის აღნიშნული ნაშრომის მეორე გამოცემა და მასში განხილულია დასავლეთ საქართველოს რეგიონების - გურიის, სამეგრელოს, აჭარისა და აფხაზეთის მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიული ფაქტები, ტრადიციები, ვაზის ჯიშები, ღვინის დაყენების წესები და თვისებები, სოკოვანი დაავადებებისა და ფილოქსერას მავნეობის შედეგები, ვენახის გაშენების წესები და ადგილები, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის გაზრდის ღონისძიებები და ასე შემდეგ.

ცნობილი ქართველი აგრონომი ერმილე ნაკაშიძე დაიბადა 1859 წლის 8 ივლისს (21 ივლისი ძველი სტილით) სოფელ მაკვანეთში (ოზურგეთის მაზრა).

„მევენახეობა-მეღვინეობა გურია-სამეგრელოში, აჭარაში და აფხაზეთში“ მრავალპროფილურია და აღწერს მევენახეობა-მეღვინეობის სხვადასხვა საკითხს საქართველოს ამ ძველისძველ მხარეებში, „აგუნას“ და „სთველის გიორგობის“ ჩვეულებებს.

ქართველი აგრონომი ერმილე ნაკაშიძე

გთავაზობთ მცირე მონაკვეთს აღნიშნული ნაშრომიდან:

მევენახეობა-მეღვინეობა გურიასა და სამეგრელოში

„მევენახეობას გურია-სამეგრელოს სასოფლო მეურნეობაში უხსოვარ დროიდან ეჭირა საპატიო ადგილი და დიდად განვითარებული იყო.

ამას მოწმობენ ბევრი მწერალი და მოგზაური, როგორც ძველები - ჰომეროსიდან დაწყებული, ისე ახალი დროის: შარდენი, ლამბერტი, კონტარინი, დიუბუა დე მონპერე, ჰაკსტჰაუზენი და ბევრი სხვა.

გურია-სამეგრელოს თითქმის ყოველ სოფელში ჩვენ ვპოულობთ ყურძნის საქაჩავის ქვის ნაწილებს, რომელნიც ეხლა მიტოვებულია და ეხლანდელმა მოდგმამ მისი სახელიც არ იცის; ეხლანდელ დროში უსარგებლოდ არის მიტოვებული უზარმაზარი ჭურები (ქვევრები) და საწნახელები, რომელნიც ჩვენ გვხვდება ყოველ ნაბიჯზე გურულის ან მეგრელის ოჯახში.

გარდა ამისა, ხალხში დარჩენილია ბევრი ჩვეულება და უქმეები, რომელნიც დაწესებულია მევენახეობა-მეღვინეობის პატივსაცემად. აქ ჩვენ მოვიყვანთ უფრო გავრცელებულ და შესანიშნავ ჩვეულებებს: გურიაში ყოველგან და სამეგრელოშიაც ადგილ-ადგილ ახალი წლის საღამოს ერთ ჩვეულებას, რომელსაც „აგუნას“-ს ეძახიან. ოჯახის უფროსი თავის ოჯახის წევრების თანხლებით, ანთებული თაფლის სანთლებით, შედის მარანში, ან თუ მარანი არა აქვს, მიდის იმ ადგილზე, სადაც საწნახელი სდგას, თან მიაქვთ ღორის თავი, ხაჭაპური და დოქით ღვინო.

ოჯახის უფროსი იღებს ტარიან თოხს ან ცულს, ურტყამს ყუით დაპირქვავებულ საწნახელს და თან მაღალის ხმით დამღერის:

აგუნა, აგუნა გადმოიარეო,

ბახვი, ასკანა გადმოიტანეო,

ჩვენ ვენახს ბევრი ყურძენი და სხვ.

ამ სიმღერას სამჯერ გაიმეორებენ და იქვე შესჭამენ ღორის თავს, ხაჭაპურს და დალევენ ღვინოს.

აგუნა ყოფილა მიწის ნაყოფის და ბარაქის ღმერთი და მას კერპთაყვანობის დროს თაყვანს სცემდნენ. სოფლები ბახვი და ასკანა ცნობილი იყვნენ გურიაში შესანიშნავი ღვინოებით და თვით სახელი ამ სოფლებმა მიიღო ბახუსისაგან - (ღვინის ღმერთი) და ასკანიდან, ენეის შვილისგან, რომელსაც ზოგიერთ წყაროების მიხედვით ბახუსთან აქვს ნათესაობა).

ამის მსგავსი ჩვეულებაა სამეგრელოშიც. საახალწლოდ ამისთვის ცალკე აცხობენ 4 ხაჭაპურს, ამ ხაჭაპურებს აწყობენ გიდელში (მოგრძო, ცილინდრული კალათი მაღლარი ყურძნის საკრეფი) და ატანენ მარანში შესატანად პატარა ქალს, გოგოს; მარნიდან გამოაქვს დოქით ღვინო პატარა ბიჭს; ისინი შეხვდებიან თუ არა ერთმანეთს, დაეტაკებიან და რომელიც გაიმარჯვებს ართმევს დამარცხებულს ხაჭაპურს ან ღვინის დოქს და შეაქვს მარანში. აქ თავს იყრის მთელი ოჯახი, ჭამენ ხაჭაპურს, სვამენ ღვინოს, ურტყამენ ჯოხს საწნახელს და თან დამღერიან:

ჰაი გიდელი, გიდელი,

ჩემი ვენახი სავსე მტევნებით და სხვ.

თუ ვაჟმა გაიმარჯვა, იმ წელს ღვინის და ჭირნახულის მოსავალი კარგი იქნება, თუ ქალმა - აბრეშუმის და ყველა იმისი, რასაც ქალი ოჯახში აკეთებს.

ყურძნის დაკრეფის შემდეგ ზოგიერთ სოფლებში იხდიან კიდევ ერთ ჩვეულებას, რომელსაც „სთველის გიორგობას“ ეძახიან. კლავენ თხას ან მამალს ოჯახის შეძლებისდაგვარად და აკეთებენ ფელამუშს (თათარას); ოჯახის უფროსი მოიკიდებს ზურგზე ბავშვს, ან წამოისხამს საბანს, მიდის ეზოში ახლო დარგულ ვენახებთან და აცხებს მას ფელამუშს,

ამასთან გამოსთქვამს ხმამაღლა სურვილს, რომ მისი ვენახიც ისე დაიტვირთოს ყურძნით, როგორც ის არის დატვირთული“.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი 10 წლის გახდა

რა გზა გაიარა დეპარტამენტმა 2013 წლიდან დღემდე და რა შედეგი გამოიღო გაძლიერების პროცესმა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი 10 წლის გახდა. დეპარტამენტის უფროსმა, ლევან ჯღარკავამ, იუბილესთან დაკავშირებით, უწყების 10-წლიანი მუშაობა შეაფასა და იმ თანამშრომლებს, რომლებიც დეპარტამენტში 2013 წლიდან დღემდე მუშაობენ, გაწეული ერთგული სამსახურისთვის მადლობის სიგელები გადასცა.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი 2013 წელს შეიქმნა

2013 წელს განხორციელებული სამთავრობო რეფორმების შედეგად, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაუბრუნდა. 14 მაისს, სამინისტროში შეიქმნა საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლს (გარდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულების კონტროლისა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში.

დეპარტამენტის შექმნის აუცილებლობა წინა წლების განმავლობაში გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის სისტემის მნიშვნელოვანი რყევებისა და არათანმიმდევრული გარემოსდაცვითი პოლიტიკის გამო დადგა. იმავე წლიდან დაიწყო დეპარტამენტის გაძლიერების პროცესი, რომელიც დღემდე გრელდება. 2013 წელს უწყებაში მხოლოდ 330 ადამიანი იყო დასაქმებული, დღეს კი, დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობა 854 საშტატო ერთეულია. დეპარტამენტი საქმიანობას ახორციელებს ცენტრალურ აპარატში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების, 8 რეგიონული სამმართველოსა და შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს მეშვეობით. დეპარტამენტის შესაბამისი კომპეტენციის თანამშრომლები აქტიურად ახორციელებენ რეგულირების ობიექტების გეგმიურ და არაგეგმიურ ინსპექტირებას, პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების ეკიპაჟები კი, ქვეყნის მასშტაბით, 24 საათის განმავლობაში პატრულირებენ გარემოსდაცვითი სამართალდარღვევების გამოვლენის, აღკვეთისა და პრევენციის მიზნით. წლების განმავლობაში, გაიზარდა ეკიპაჟების რაოდენობა - 2013 წელს ქვეყნის მასშტაბით 24-საათიან რეჟიმში ჩართული იყო პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების მხოლოდ 32 ეკიპაჟი, 2022 წელს კი, ეკიპაჟების რაოდენობამ 130 შეადგინა.

დეპარტამენტის გაძლიერების უწყვეტი პროცესი და 2013-2022 წლის შედეგები

გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის ეფექტურობის ამაღლებისთვის უმნიშვნელოვანესია დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერების პროცესი. წლების განმავლობაში იზრდებოდა დეპარტამენტის ბიუჯეტი, რაც მოწმობს, რომ ზოგადად გარემოს დაცვა და გარემოსდაცვითი სამართალდარღვევების გამოვლენა, აღკვეთა, პრევენცია მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მაგალითად, თუ 2013 წელს დეპარტამენტის ბიუჯეტი მხოლოდ 5 719 900 ლარი იყო, 2023 წლის ბიუჯეტი 26 მილიონი ლარით განისაზღვრა.

უმნიშვნელოვანესია თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება. 2014 წლიდან, ეტაპობრივად აშენდა და კეთილმოეწყო დეპარტამენტის ტერიტორიული სამსახურების ოფისები მცხეთაში, რუსთავში, ოზურგეთში, გორში, ამბროლაურში, ახალციხეში, ბათუმში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში. ინფრასტრუქტურული პროექტები მიმდინარე წელსაც განხორციელდება - დაგეგმილია ახალი რეგიონული ოფისების მშენებლობა ქუთაისსა და თელავში.

ბოლო წლებში, არაერთხელ მოხდა დეპარტამენტის ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერებაც. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე თვის წინ დეპარტამენტის ავტოპარკი კიდევ ერთხელ განახლდა და შეემატა მაღალი გამავლობის ავტომანქანები, ასევე ე.წ. ბაგები, რომლებიც გამოიყენება პრაქტიკულად მიუვალ ადგილებში პატრულირებისთვის. უწყებამ შეიძინა გასაბერი ნავებიც, რომლებიც უკანონო თევზჭრის წინააღმდეგ ბრძოლას კიდევ უფრო ეფექტურს გახდის. დღეს, ეკიპაჟები თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი - იქნება ეს სამხრე კამერები, დრონები, ფოტოხაფანგები, ვიდეორეგისტრატორები თუ ლაბორატორიული და გამზომი სხვადასხვა აღჭურვილობა. უახლოეს პერიოდში დეპარტამენტი ასევე შეიძენს სპეციალურ ხელსაწყოებს, რომელთა საშუალებით, წლის მეორე ნახევრიდან, დიდ ქალაქებში, გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის ხარისხის გაზომვა იქნება შესაძლებელი.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2020 წლიდან დეპარტამენტის 756 თანამშრომელმა, რომლებიც ახორციელებენ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენა-აღკვეთის უფლებამოსილებას, მიიღო სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომელთა პროფესიული დონის ამაღლებას და გადამზადებას. კადრების 90% ჩართულია კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში. გასულ წელს, მხოლოდ ტყის რესურსების კონტროლის მიმართულებით მომუშავე 130-მა თანამშრომელმა გაიარა სწავლება დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ თემებზე. მათ პრაქტიკული და საველე ტრენინგებიც ჩაუტარდათ.

ეფექტიანი გარემოსდაცვითი კონტროლი და საკანონმდებლო ცვლილებები

აქტიურად გრძელდება მუშაობა სხვადასხვა ელექტრონული მექანიზმის დასანერგად და გასავითარებლად. ელექტრონული სისტემების დანერგვის მიზანი გარემოსდაცვით მოთხოვნათა შესრულების ხელშეწყობა, სახელმწიფო კონტროლის გამარტივება და ამაღლებაა. 2013 წელს შეიქმნა გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის პორტალი - hppt:/emoe.gov.ge, რომლის მეშვეობით მეწარმეები ერთი ფანჯრის პრინციპით, online-რეჟიმში ახორციელებენ გარემოსდაცვითი კანონდებლობით დადგენილ ანგარიშგებასა და სხვა ვალდებულებების აღრიცხვას შესაბამის ელექტრონულ სისტემებში, ხოლო კონტროლის განმხორციელებელი უწყებები - კონტროლსა და მონიტორინგს მათ მიერ ამ ვალდებულებების შესრულებაზე. საუბარია მერქნული რესურსების, სახერხების, თევზჭერის მართვის ელექტრონულ სისტემებზე, ასევე ელექტრონულ მოდულზე „სახაზინო კოდი - 3033 გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე მოსაკრებლის გადახდის თაობაზე“. გარდა ამისა, 2020 წლიდან საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე, არალეგალური, არადოკუმენტირებული და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერის კონტროლის მიზნით, შესყიდულია სატელიტური ელექტრონული მონიტორინგის სისტემა, რომლითაც უწყვეტად კონტროლდება უცხო ქვეყნის იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიულ ზღვასა და ღია ზღვაში თევზჭერაში ჩართული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემები. 2021 წლიდან ამოქმედდა დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ელექტრონული სისტემა (airMonitoring). მის ცენტრალურ საცავში მონაცემების უწყვეტად მიღება უშუალოდ ხორციელდება აღნიშნული ვალდებულების მქონე ობიექტების უწყვეტ მონიტორინგს დაქვემდებარებული მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებიდან, მათზე დამონტაჟებული მოწყობილობების მეშვეობით. ამ სისტემის დანერგვა უმნიშვნელოვანესია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების მიმართულებით. სისტემაში უკვე ჩართულია 21 მსხვილი სამრეწველო საწარმო, დანარჩენ საწარმოებში კი, მიმდინარეობს მონტაჟის პროცესი.

ინსპექტირებისა და პატრულირების პარალელურად, გარემოსდაცვითი სამართალდარღვევების აღმოფხვრისა და მინიმუმამდე შემცირების მიზნით, დეპარტამენტის თანამშრომლები მყისიერ რეაგირებას ახდენენ სამინისტროს ცხელ ხაზზე შემოსულ შეტყობინებებზე. 24-საათიანი „ცხელი ხაზი - 153“ 2014 წელს შეიქმნა. მისი საშუალებით მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს აქვთ შესაძლებლობა, დააფიქსირონ ინფორმაცია სავარაუდო გარემოსდაცვითი სამართალდარღვევის შესახებ. 2022 წელს, ცხელ ხაზზე შევიდა 2 978 შეტობინება და თითოეულ მათგანზე შესაბამისი რეაგირება მოხდა.

დეპარტამენტის გაძლიერება და ეფექტური მუშაობა, პირდაპირ აისახება გარემოსდაცვითი სამართალდარღვევების გამოვლენის სტატისტიკაზე - თუ 2013 წელს გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მხოლოდ 3 128 ფაქტი, 2022 წლის განმავლობაში, დეპარტამენტის თანამშრომლებმა 12 342 ფაქტი აღკვეთეს. თუმცა, პრიორიტეტი სამართალდარღვევების პრევენციაა.

პრევენციისა და სამართალდარღვევების შემცირებისთვის, უმნიშვნელოვანესია ადეკვატური და მკაცრი კანონმდებლობაც. დეპარტამენტი ამ მიმართულებითაც აქტიურად მუშაობს და არაერთი საკანონმდებლო ინიციატივის ავტორიცაა.

2013 წელს განხორციელდა ცვლილებები წარსულში მიღებული არამართებული საკანონმდებლო აქტების გასაუქმებლად და ასევე, გაუქმებული სამართლიანი საკანონმდებლო შეზღუდვების ხელახლა აღსადგენად. მათ შორის აღდგა ხე-ტყის კონტროლის მანამდე გაუქმებული მექანიზმები; გაუქმდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილება, რომლის საფუძველზე საშეშე ხე-ტყის ჭრისათვის პირველ ჯერზე შემოღებული იყო გაფრთხილება, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა ტყეებში შექმნილ მდგომარეობას. 2015 წელს გამკაცრდა მოთხოვნები ხე-ტყის სოციალურ ჭრასთან დაკავშირებით. 2019 წელს გაიზარდა საჯარიმო სანქციები ხე-ტყის უკანონო გაჩეხვისა და დაზიანებისთვის, სამართალდარღვევის იარაღისა და სამართალდარღვევის ობიექტის კონფისკაციით. შემოღებულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არარეგისტრირებული (უკანონო) სახერხი საამქროს მოწყობისათვის, ხე-ტყის უკანონოდ გაჩეხვის, ან ტრანსპორტირების წესების განმეორებით დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ხე-მცენარეების უკანონოდ გაჩეხვისთვის. გარდა ამისა, გამკაცრდა პასუხისმგებლობა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების მაქსიმალური მნიშვნელობის ან/და დადგენილი ნორმების გადამეტების, შესაბამისი მოწყობილობების უქონლობის, გაუმართაობის ან/და ექსპლუატაციის წესების დარღვევისთვის. დაწესდა დამატებითი მოთხოვნები რეგულირების იმ ობიექტების მიმართ, რომლებიც საქმიანობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე. დამტკიცდა კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“, რომლის მიზანია გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის მონეტარული ანაზღაურების ნაცვლად, საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული გარემოს აღდგენის მეთოდოლოგიის დანერგვა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის პრევენციის/შერბილების ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა.

საკანონმდებლო ორგანოში განხილვის პროცესშია საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლს, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გადაწვაზე ადეკვატურად მკაცრი ჯარიმის დაწესებასა და აკრძალული საშუალებებით თევზჭერის შემთხვევაში კანონის გამკაცრებას გულისხმობს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპატრამენტის გაძლიერების პროცესი გრძელდება, რისი შედეგიც გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანობის კიდევ უფრო ამაღლება იქნება.

სასმელი წყალი - დიაგნოსტიკისთვის ნიმუშის აღებისა და ლაბორატორიაში შემოტანის წესები

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში მიმდინარეობს სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური კვლევები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლაბორატორიაში შემოტანილი ნიმუში შემდეგი ინსტრუქციების დაცვით იყოს აღებული.

სინჯების აღების წინ უზრუნველყავით ასეპტიკური პირობები (სტერილური ხელთათმანი) და დაიცავით სინჯები მასში შხეფების ან წყლის ნაწილაკების მოხვედრისგან.

სინჯების ასაღებად გამოიყენეთ სტერილური ჭურჭელი, დამზადებული მინისგან ან პოლიმერული მასალისგან (პოლიპროპილენი, პოლისტიროლი, პოლიეთილენი), რომელიც არ ახდენს გავლენას მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობაზე.

ნიმუშის აღება ჭიდან

ჭიდან წყლის ნიმუშის აღებისას, ჩასაყურსი ჭურჭელი უნდა იყოს სტერილური, როგორც შიგნიდან, ისე გარედან და შეფუთული ქაღალდით, ფოლგით ან სხვა პოლიმერული მასალისგან, რომელიც უძლებს სტერილიზაციას.

შეფუთვა გახსენით უშუალოდ სინჯის აღების წინ. ჭურჭელს უნდა ჰქონდეს სტერილური სილიკონი, რეზინის, პლასტმასის ან ალუმინის ხრახნიანი სახურავი. არ გამოიყენოთ ბამბიანი საცობები.

მეტალის სახურავი (განსაკუთრებით ალუმინის) სტერილიზაციის შემდეგ შეიძლება გახდეს მიკროორგანიზმებისათვის ტოქსიკური, ამიტომ მის ქვეშ გამოიყენეთ თერმო და წყალგაუმტარი საფენი.

იმისთვის რომ თავიდან აიცილოთ ჰაერიდან სინჯის დაბინძურება მიკროორგანიზმებით, ჭურჭელი აავსეთ ბოლომდე ისე, რომ წყლის ზედაპირსა და საცობის შიდა ზედაპირს შორის დარჩეს მცირე სივრცე.

ნიმუშის აღება ღია წყალსატევებიდან

ღია წყალსატევებიდან (ჭა, ჭაბურღილი და ა.შ.) წყლის სინჯი აიღეთ სტერილური ჭურჭლით. ჭურჭელი ჩაძირეთ საჭირო სიღრმეზე (10-15 სმ. წყლის ზედაპირიდან).

ნიმუშის აღება ონკანიდან

წყალსადენის ონკანიდან წყალი აიღეთ იმ პერიოდში, როცა წყლის დიდი ხარჯვა აღინიშნება. ონკანს წინასწარ გაუკეთეთ სტერილიზაცია ცეცხლმოკიდებული სპირტიანი ტამპონის ალზე მოწვით, შემდეგ ონკანი გააღეთ ბოლომდე და 10-15 წთ-ის განმავლობაში დენის შემდეგ აიღეთ სინჯი.

სინჯის ასაღების ჭურჭლის მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს წყლის იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა გამოსაკვლევი მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების განსასაზღვრად.

წყლის ბაქტერიული ანალიზისთვის

აუცილებელია წყლის ბაქტერიული ანალიზი ჩატარდეს ნიმუშის აღების მომენტიდან არაუგვიანეს 2 საათისა. აღნიშნული ვადის გაზრდა შეიძლება 6 სთ-მდე, თუ შენახვა და ტრანსპორტირება მოხდება 4°C-დან 10°C-მდე ტემპერატურის პირობებში.

წყლის ქიმიური ანალიზისთვის

ქიმიური კვლევებისთვის საკმარისია სუფთა, არასტერილური ჭურჭელი. ლაბორატორიაში შემოტანილი ნიმუშის საერთო რაოდენობა არ უნდა იყოს 2 ლიტრზე ნაკლები.

შენიშვნა

ტრანსპორტირებისას დაიცავით წყლის სინჯები გარეგანი ზემოქმედებისგან (მზის სხივები, გაცხელება, გაყინვა, ზედმეტი ნჯღრევა).

გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი, მარიკა მახარაძე ორი წლის ვადით, საქართველოს შავი ზღვის ახალგაზრდა ელჩი იქნება

4 მაისს ბელგიის დედაქალაქში, ბრიუსელში, ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ ორგანოში, ევროპარლამენტში შეხვედრა შედგა და მსვლელობა მიეცა „შავი ზღვის სტრატეგიული კვლევისა და ინოვაციების დღის წესრიგს“ (Strategic Research and Innovation Agenda - SRIA), რომელიც მომზადდა ევროკომისიის პროექტის „Black Sea Connect” ფარგლებში. აღნიშნულ შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის წარმომადგენელი მარიკა მახარაძე, რომელმაც პროექტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა და მას შავი ზღვის ახალგაზრდა ელჩის სტატუსი 2024 წლის ბოლომდე მიენიჭა.

„ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა მკვლევარისთვის, მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების მიღება, პროგრამა „შავი ზღვის ახალგაზრდა ელჩები“ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს ზღვის ბიოლოგებს, ეკოლოგებს, ქიმიკოსებს, გეოგრაფებს და მეზღვაურებს გვაერთიანებს ერთი მიზნისთვის, ეს არის სუფთა, მრავალფეროვანი და ძლიერი შავი ზღვა.

პროგრამის ფარგლებში გვაქვს შესაძლებლობა გავუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი გამოცდილება, მივიღოთ ცოდნა უკვე გამოცდილი სამეცნიერო საზოგადოების წევრებისგან, ვიმსჯელოთ პრობლემებზე და ერთად ვეძიოთ გადაჭრის გზები.

ბოლო ათწლეულების მანძილზე დავკარგეთ უამრავი სახეობა შავ ზღვაში, ეს ყველაფერი კი იწვევს ბუნებრივი ეკოსისტემების რღვევას. რადგან ჩვენ უკვე ვიცით პრობლემების გამომწვევი მიზეზები. თითოეულ ჩვენგანს, როგორც ინდივიდუალუად, ასევე ერთობლივად გვეკისრება პასუხისმგებლობა მათ აღმოსაფხვრელად. ჩვენი ძირითადი მოვალეობაა ახალგაზრდა თაობის ცნობიერების ამაღლება. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გავითავისოთ, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის შავ ზღვას, როგორი მნიშვნელოვანია მასში მობინადრე ჰიდრობიონტების დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა.

დიდი პასუხისმგებლობაა წარმოადგენდე ქვეყანას ასეთ მნიშვნელოვან ადგილას. საქართველოსთვის შავი ზღვა არის მთავარი დამაკავშირებელი ხიდი ევროპასთან, ჩვენთვის, ისტორიულად მნიშვნელოვანია ამ კავშირის უფრო გაძლიერება, შესაბამისად, აუცილებელია გავუფრთხილდეთ და გვიყვარდეს ეს დიდი საგანძური, რადგან ჩვენი არჩევანია სუფთა, მრავალფეროვანი და ძლიერი შავი ზღვა ! - განაცხადა ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას საქართველოს წარმომადგენელმა მარიკა მახარაძემ.

აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის ახალგაზრდა ელჩის პროგრამა ევროკავშირის პროექტის Connect2BlackSea ფარგლებში ხორციელდება, რომელიც 2020 წლიდან შემუშავდა და აერთიანებს ახალგაზრდებს შავი ზღვისპირა ქვეყნებიდან შავი ზღვის ჯანსაღი და მდგრადი მომავლისათვის.

პროგრამის ფარგლებში, შავი ზღვის ახალგაზრდა ელჩები გაერთიანებული არიან ბულგარეთის, საქართველოს, რუმინეთის, თურქეთის უკრაინის და მოლდოვის რესპუბლიკიდან. ელჩებს ჩაუტარდებათ თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები რეგიონში საზღვაო მეცნიერებების და ლურჯი ეკონომიკის გადაჭრის გზებზე.

აღნიშნული ინიციატივის განხორციელებაში ერთ-ერთი მთავარი ნაწილი შავი ზღვის ახალგაზრდა ელჩებს ეთმობათ. ევროპარლამენტში გამართულ შეხვედრაზე ახალგაზრდა ელჩებმა ისაუბრეს შავი ზღვის მნიშვნელობასა და აღნიშული დღის წესრიგის ამუშავებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პროფესიების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც ემსახურება გარემოსდაცვით უსაფრთხოებას. ახალგაზრდა ელჩების პროგრამა გაზრდის სპეციალისტების ჩართულობას და კავშირებს, როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე, ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების პროფესიულ განვითარებას და კარიერულ წინსვლას.

2022 წელს, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების დონის პირველი კვლევა ჩაატარა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის საქმიანობის ერთ - ერთი მთავარი მიმართულება გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობაა ქვეყნის მასშტაბით, რაც სხვადასხვა სამიზნე ჯგუფზე მორგებული პროგრამებისა და აქტივობების განხორციელებას/ დანერგვას გულისხმობს. ამ გზით, ცენტრი უზრუნველყოფს საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და გარემოსდაცვითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

2022 წელს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ პირველად ჩატარდა გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების დონის კვლევა ეროვნულ დონეზე. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მოხდება მონაცემებზე დაფუძნებული გარემოსდაცვითი განათლების პოლიტიკის და პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება. ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილი გარემოსდაცვითი განათლების ღონისძიებები გააუმჯობესებს საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და მათ ინტერესს, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მასშტაბური კვლევა „გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების დონის შეფასება ეროვნულ დონეზე“ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ინიციატივით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მხარდაჭერით ჩატარდა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების დონის ამაღლების მიმართულებით სამთავრობო და არასამთავრობო სექტორისთვის სანდო სტატისტიკური და ანალიტიკური მონაცემების უზრუნველყოფა, რის საფუძველზეც მოხდება სამომავლოდ სხვადასხვა პროგრამის შემუშავება და ეფექტიანი განხორციელება.

გამოკითხულთა უმრავლესობის მიხედვით, გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცოდნის გაღრმავების სურვილი საკმაოდ მაღალია ქვეყანაში და 59%-ს შეადგენს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- მოსახლეობის უმრავლესობა მიმართავს ელექტროენერგიის დაზოგვაზე ორიენტირებულ ქცევებს (მაგ. აქრობს შუქს ოთახიდან გასვლისას, იყენებს ენერგიის დამზოგავ ნათურებს და სხვ.)
- მოსახლეობის უმრავლესობა (65%-ზე მეტი) ამჯობინებს ახლო დისტანციაზე ფეხით გადაადგილდეს და იყენებს საზოგადოებრივ ტრანსპორტს, მანქანის ნაცვლად, როცა ეს შესაძლებელია
- მოსახლეობის 80% წყალს აფასებს, როგორც ამოწურვად რესურსს და მართებულად მიიჩნევს მის ეკონომიურ გამოყენებას
- მოსახლეობის დიდ უმრავლესობას - 85%-ზე მეტს გაცნობიერებული აქვს ატმოსფერული ჰაერის წინაშე დღესდღეობით არსებული საფრთხეები
- მოსახლეობის 70% ბუნებაში პიკნიკის შემდეგ, ნარჩენებს „ყოველთვის“ ათავსებს პოლიეთილენში და მიაქვს ნაგავსაყრელზე
- მოსახლეობის 83% ნაგვის ურნის არარსებობის შემთხვევაში, ნაგავს „არასდროს“ ყრის ქუჩაში
- მოსახლეობის 80%-ზე მეტი სწორადაა ინფორმირებული ტყის მართვასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ
- მოსახლეობის 62% ფიქრობს, რომ საქართველოში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგები უკვე იგრძნობა
- გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ძირითადი საინფორმაციო წყაროები, როგორც ქალაქში, ისე სოფელში ტელევიზია და ინტერნეტია.



კვლევა „გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების დონის შეფასება ეროვნულ დონეზე» მიზნად ისახავდა ქვეყანაში გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ საკითხებთან მიმართებით მოსახლეობის ცნობიერების დონის შეფასებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კვლევის ფარგლებში შემუშავდა შემდეგი ამოცანები:

- გარემოსადაცვითი განათლებისა და ცნობიერების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ცოდნის შეფასება
- გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების შესახებ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებების შესწავლა
- გარემოსადაცვითი განათლებისა და ცნობიერების კონტექსტში საქართველოს მოსახლეობის ქცევითი პრაქტიკის ანალიზი

კვლევა განახორციელა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა (ISSA). კვლევისას გამოყენებული იქნა, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, კვლევა ჩატარდა ფოკუს ჯგუფებში, ექსპერტული ინტერვიუები და რაოდენობრივი გამოკითხვა, მთელი საქართველოს მასშტაბით.

კვლევამ აჩვენა, რომ გარემოსდაცვით ცნობიერებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები(პრედიქტორები): ასაკი, სქესი, საცხოვრებლის ტიპი, განათლება, შშმ პირების სტატუსი.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა საყურადღებო მიმართულებები:

- ✔ კომუნალური მომსახურებით სარგებლობისას ზოგიერთი ჩვევა ნაკლებად მგრძნობიარეა გარემოსდაცვითი დამოკიდებულების თვალსაზრისით.
- ✔ მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა, როცა ეს შესაძლებელია, იყენებს საზოგადოებრივ ტრანსპორტს (ავტომობილის ნაცვლად), ყოველდღიურად ავტომობილის მომხმარებელთა წილი (18%) აჭარბებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომხმარებელთა წილს (13%).
- ✔ სამომხმარებლო ნივთების შეძენისას ყოველი მეორე რესპონდენტი არ იყენებს საკუთარ ჩანთას და არ აქცევს ყურადღებას იმას, რამდენად ზედმეტად შეფუთულია ნივთი.
- ✔ მოსახლეობა წყალს არ აღიქვამს, როგორც ეკონომიკურ საქონელს და ეწინააღმდეგება წყალზე (როგორც სასმელზე, ისე სარწყავზე) გადასახადის დაწესებას. ამასთან, მესამედი ვერ აცნობიერებს, რომ მდინარეების დაბინძურება საფრთხეს უქმნის წყლის რესურსებს.
- ✔ ყოველი მესამე რესპონდენტი ეწინააღმდეგება შავ ზღვაში თევზის მოპოვების ლიცენზირებას და აღრიცხვას, თუ საქმე არ ეხება სამრეწველო თევზჭერას.
- ✔ მიწის რესურსების დაცვის კუთხით მოსახლეობის უმრავლესობა ემხრობა სასოფლო-სამეურნეო მიწისა და საძოვრების შეუზღუდავად, არარეგლამენტირებულად გამოყენებას
- ✔ საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის თვალსაზრისით რესპონდენტების მნიშვნელოვან ნაწილს გამოსავლად მიაჩნია დამატებითი ნაგავსაყრელების შექმნა, დაუშვებლად თვლის ნარჩენების გადამუშავებას (ანტისანიტარულობის მიზეზით) და ფიქრობს, რომ მდინარეებს აქვს ნარჩენებისგან თვითგაწმენდის უნარი.
- ✔ ყოველი მეოთხე გამოკითხული აცხადებს, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს წვავს და ამ გზით იცილებს მათ თავიდან.
- ✔ რესპონდენტთა 30%-ის აზრით, სასუქების გამოყენებას სოფლის მეურნეობაში ალტერნატივა არ გააჩნია (სოფლებში ეს განწყობა კიდევ უფრო გამოკვეთილია).
- ✔ ყოველი მეოთხე გამოკითხული თვლის, რომ კერძო მესაკუთრეს უნდა ჰქონდეს უფლება, საკუთარი მიწა ნებისმიერი მიზნით გამოიყენოს. ასევე, ეკოლოგიური ცვლილებების მიუხედავად, მდინარის კალაპოტზე ჰესების მშენებლობა გამართლებულია ელექტრო ენერგიის წყაროების წარმოქმნის გამო.

თქვენ, თავად თუ გქონიათ გარემოსდაცვითი განათლების მიღების გამოცდილება სწავლების სხვადასხვა საფეხურებზე (%)



საქართველოს ბიომრავალფეროვნება

საქართველოს ბიომრავალფეროვნება უამრავ სახეობასა თუ ჯიშს მოიცავს, დღეს კი, მის რამდენიმე თვალსაჩინო წარმომადგენელს გაგაცნობთ

• ალკუნი • ALCEDO ATTHIS

საქართველოში ფრინველთა 201 გადამფრენ-მობუდარი სახეობაა დაფიქსირებული, მათგან ერთ-ერთი კი ჩვეულებრივი ალკუნია. ჩვეულებრივი ალკუნის, იგივე ცისფერი ალკუნის, ლათინური სახელია Alcedo atthis, რომელიც მიეკუთვნება ალკუნისებრთა ოჯახს.

ალკუნის სხეულის სიგრძე შეადგენს 17-19 სმ-ს, ფრთების შლილი კი 24-26 სმ-ს. მისთვის დამახასიათებელია მკვეთრი, ხასხასა შეფერილობა. ალკუნს აქვს მოკლე კუდი და გრძელი მოწითალო ნისკარტი. მისი ზურგი და კუდი ცისფერი შეფერილობისაა, ყელი კი თეთრი აქვს.

ალკუნი ბუდეს იკეთებს სანაპირო ფლატეში, სოროებში. წელიწადში მრავლდება ორჯერ: პირველად მაისის პირველ ნახევარში, მეორედ - ივნისის ბოლოს. დებს 6-7 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი კი გრძელდება 18-21 დღე.

ჩვეულებრივი ალკუნი ცნობილია მისი შესანიშნავი თევზჭერის უნარით. იგი წყალთან ახლოს დგას და ელოდება მსხვერპლს, შემდეგ სწრაფად ჩაყვინთავს და თევზს ბასრი ნისკარტით იჭერს. ალკუნი ძირითადად იკვებება წვრილი თევზებისგან, თავკომბალებისა და უხერხემლოებისგან.

ზამთარში ალკუნები მიგრირებენ თბილ კლიმატში. ისინი მიგრირებენ მოკლე დისტანციებზე, გადადიან იმ ადგილებში, სადაც წყალი არ არის გაყინული, რაც უზრუნველყოფს მათთვის საკვების მუდმივ მიწოდებას ცივი თვეების განმავლობაში.

• თოხიტარა • AEGITHALOS CAUDATUS

გაგაცნობთ თოხიტარას, რომლის ლათინური დასახელებაა Aegithalos caudatus. იგი მიეკუთვნება ბეღურასნაირთა რიგს და ფართოდა გავრცელებული ევროპისა და აზიის ნაწილებში.

თოხიტარას სხეულის სიგრძე არის 13-15 სმ. დამახასიათებელია პატარა, ფუმფულა, მომრგვალო ფორმის სხეული. მას აქვს პატარა ნისკარტი და გრძელი შავი კუდი. თოხიტარას სხეულის ქვედა ნაწილი მოთეთრო-მოვარდისფროა, ზურგი რუხი ფერისაა, მხრებზე კი მოვარდისფრო ხაზები აქვს.

თოხიტარა გვხვდება სხვადასხვა ჰაბიტატებში. მათ შორის ფოთლოვან, შერეულ და ჭალის ტყეებში. ასევე გვხვდება ბაღებსა და პარკებში. ფრინველი ძირითადად ევროპაში გვხვდება, თუმცა არიან აზიის ნაწილებშიც, როგორიცაა ციმბირი და ჩინეთი. ისინი უპირატესობას ანიჭებენ ჰაბიტატებს მკვრივი მცენარეულობითა და ბუჩქნარებით, სადაც შესაძლებელია იპოვონ მწერები და ბუდის გასაკეთებლად შესაბამისი ადგილები.

თოხიტარები მეტად სოციალურები არიან და ერთ გუნდად მოძრაობენ. ისინი ერთმანეთში ინარჩუნებენ კონტაქტს. ეს ქცევა ეხმარება მათ საკვების მოძიებაში, ნავიგაციასა და მტაცებლისგან დაცვაში.

თოხიტარა იკვებება წვრილი მწერებისგან, ობობებისგან და სხვა მცირე უხერხემლოებისგან. ზამთარში კი როცა მწერების რაოდენობა მცირეა, მათ შეუძლიათ იკვებონ თესლებითა და კენკრით.

გამრავლების სეზონზე, რომელიც ჩვეულებრივ მარტიდან ივლისამდე გრძელდება თოხიტარები აშენებენ გუმბათის ფორმის ბუდეებს ხავსის, ობობის ქსელებისა და ბუმბულის მეშვეობით. ბუდე საკმაოდ მჭიდროა, რომელსაც აქვს პატარა გვერდითი შესასვლელი. ბუდის შენებაში მონაწილეობენ როგორც მდედრები, ისე მამრები.

• ოფი • POPULUS NIGRA

რაც შეეხება მცენარეებს, საქართველოს ფლორის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ოფი, რომლის ლათინური სახელია Populus nigra. იგი მიეკუთვნება ტირიფისებრთა ოჯახს.

ოფის სიმაღლე აღწევს 20-30 მეტრს, რომელსაც აქვს მუქი ნაცრისფერი ქერქი, ფოთლები კი სამკუთხა ან ალმასის ფორმისაა დაკბილული კიდეებით. მათი შეფერილობა ზედა მხარეს პრიალა მწვანე ფერისაა, ხოლო მეორე მხარეს უფრო მკრთალი მწვანე ან ნაცრისფერი ფერია.

ოფი უპირატესობას ანიჭებს ტენიან გარემოს და ჩვეულებრივ გვხვდება მდინარის ნაპირების, ჭალებისა და ჭაობების გასწვრივ, იქ სადაც წყლის მაღალი დონეა. იგი ამტანია პერიოდული წყალმოვარდნებისა და დატბორილი ნიადაგის მიმართ. ოფი გავრცელებულია ევროპასა და აზიაში. საქართველოშიც საკმაოდ გავრცელებული მცენარეა, თუმცა ჰაბიტატის დაკარგვისა და მიწათსარგებლობის ცვლილების გამო, მისი გავრცელების დიაპაზონი მნიშვნელოვნად შემცირდა.

ოფი გადამწყვეტ როლს თამაშობს სანაპირო ეკოსისტემებში. იგი უზრუნველყოფს ჰაბიტატს, ჩრდილსა და მდინარის ნაპირების მდგრადობას. მისი მკვრივი ფოთლები ხელს უწყობენ ნიადაგის ეროზიის შემცირებას და ამას გარდა, ოფი თავშესაფარია, როგორც სხვადასხვა სახეობის ფრინველის, ასევე ველური ბუნების სხვა წარმომადგენლების.

ოფის საუკუნეების განმავლობაში იყენებენ სხვადასხვა ავეჯის დასამზადებლად. იგი ასევე კარგ ნედლეულს წარმოადგენს ქაღალდის წარმოებისთვის. ხალხურ მედიცინაში ოფის კვირტები გამოიყენება, როგორც სიცხის დამწევი, რომელსაც ანტისეპტიკური და დამაწყნარებელი მოქმედების თვისება გააჩნია.

• კოლხური ბაძგი • ILEX AQUIFOLIUM

საქართველოს ფლორის მეორე წარმომადგენელია ბაძგი, ჭყორი - Ilex, რომელიც მოიცავს სახეობების მრავალფეროვან ჯგუფს და გვხვდება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ბაძგი არის მარადმწვანე ზოგჯერ ფოთოლმცვივანი ხე ან ბუჩქი და მას აქვს პრიალა, ტყავისებრი ფოთლები. მცენარის ნაყოფი არის წითელი ან ნარინჯისფერი კენკრა, რომელიც ფრინველებისთვის საკვებს წარმოადგენს.

ბაძგის აქვს ფართო გავრცელება და გვხვდება ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის ზომიერ და სუბტროპიკულ რეგიონებში. ბაძგის ერთ-ერთი სახეობა კოლხური ბაძგი (Ilex colchica) იზრდება საქართველოში.

ბაძგის მარადმწვანე სახეობები დეკორატიულია, რომელიც გაშენებულია ბაღებსა და პარკებში. ჭყორის სახეობა Ilex aquifolium განსაკუთრებით ასოცირდება ზამთართან და შობასთან. მისი წითელი ნაყოფი და მბზინავი ფოთლები გამოიყენება გვირგვინების, გირლანდებისა და სხვა სადღესასწაულო დეკორაციებისთვის.

ბაძგის მაგარსა და მძიმე მერქანს იყენებენ სადურგლო საქმეში. ასევე სხვადასხვა კულტურაში ჭყორი ტრადიციულად გამოიყენება, როგორც სამკურნალო საშუალება. ამას გარდა, მას იყენებენ კულინარიაშიც.

ჭყორს მრავალსაუკუნოვანი კულტურული მნიშვნელობა გააჩნია და ასოცირებულია სხვადასხვა ტრადიციასთან. ის ხშირად მიიჩნევა, როგორც დაცვის, იღბლისა და ნაყოფიერების სიმბოლო.

ღვინის სკოლა „ქვევრის მზე“ სასწავლო პროგრამაზე „ქვევრის და ქვევრის ღვინის სპეციალისტი“ მსმენელთა ახალი ნაკადის მიღებას იწყებს

2022 წლის 24 ნოემბერს, მექვევრეთა ასოციაციის ბაზაზე ღვინის სკოლა „ქვევრის მზე“ შეიქმნა. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელმა საბჭომ, ღვინის სკოლას პროფესიული მომზადების 6 კვირიანი სასწავლო პროგრამის „ქვევრის და ქვევრის ღვინის სპეციალისტი“ განხორციელების უფლება მიანიჭა.

ღვინის სკოლამ „ქვევრის მზე“ პირველი მსმენელები 2023 წლის 11 აპრილს მიიღო. 15 მსმენელისგან შემდგარმა პირველმა ჯგუფმა, სასწავლო სასწავლო პროცესი 23 მაისს დაასრულა.

სასწავლო ჯგუფში მონაწილე პირები წარმოადგენენ როგორც კერძო, ისე ფიზიკურ და იურიდიულ ორგანიზაციებს, ასევე საშუალო და მცირე მარნის წარმომადგენლებს.

სასწავლო კურსის ხანგრძლივობა 6 კვირას (120 საათი) მოიცავს. სწავლების მეთოდი ითვალისწინებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მეცადინეობებს. სასწავლო კურსზე მიღების წინაპირობაა, მსმენელს ჰქონდეს საბაზო (9 კლასი) განათლება და იყოს სრულწლოვანი (18 წელი);

სწავლის ღირებულება შეადგენს 1225 ლარს, რომელიც სრულად ფინანსდება სახელმწიფოს, კერძოდ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ.

სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს 4 მიმართულებას:

- ქვევრის მოვლა;
- ღვინის დამზადება ქვევრში;
- ღვინის და ჭაჭის ამოღება ფრაქციებად;
- ქვევრის ღვინის ორგანოლეპტიკური შეფასება;

სასწავლო პროცესს წარმართავენ:

გია გამტკიცულაშვილი - მევენახე, მეღვინე დეგუსტატორი, სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორი;

გელა გამტკიცულაშვილი - მევენახე, მეღვინე დეგუსტატორი, დოქტორანტი;

ნოდარი ქორბუდიანი - მეღვინე-ტექნოლოგი;

მარეხი მახარიაშვილი - მეღვინე-ტექნოლოგი;

სწავლის დასრულების შემდგომ, მსმენელს გადაეცემა კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი - სახელმწიფო სერტიფიკატი და მიენიჭება ქვევრის და ქვევრის ღვინის სპეციალისტის კვალიფიკაცია.

მექვევრეთა ასოციაციის დირექტორის, გია გამტკიცულაშვილი განცხადებით, ივნისიდან, ღვინის სკოლა მეორე ჯგუფის მიღებას იწყებს.

„სასწავლო კურსი პირველმა ჯგუფმა 23 მაისს წარმატებით დაასრულა და ღვინის სკოლა ახალი მსმენელების მიღებას იწყებს. სასწავლო პროცესი ივნისის დასაწყისში დაიწყება. პროგრამაში ჩართვის მსურველებმა უნდა მიმართონ სკოლის ადმინისტრაციას ნომერზე (+995) 598 12 33 99 ან მიწერონ ელექტრონულ მისამართზე info@qvevrismze.com. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ყველა საკითხს დეტალურად გააცნობენ“, - აღნიშნავს გია გამტკიცულაშვილი.

ა(ა)იპ მექვევრეთა ასოციაცია „ქვევრის მზე“ გია და გელა გამტკიცულაშვილების ინიციატივით, 2020 წლის 8 ოქტომბერს თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნაფარეულში დაფუძნდა. ასოციაციის წევრებია არიან როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები - ქვევრის მწარმოებლები, ქვევრის ღვინის მწარმოებელი მცირე და საშუალო მარნები, ღვინის საწარმოები და მეღვინეები.

როგორც მექვევრეთა ასოციაციის „ქვევრის მზე“ დირექტორი გია გამტკიცულაშვილი აღნიშნავს, მექვევრეთა ასოციაციის ძირითადი მიზნები და მიმართულებებია:

- პროფესიული სასწავლებლის და გადამზადების კურსების შექმნა, პროფესიული მუშაკების მომზადება;
- ქვევრის მწარმოებელი ოსტატების გადამზადება;
- ქვევრის დამზადების, ქვევრში ღვინის წარმოების, ქვევრის მოვლის, ქვევრის ღვინის სომელიეთა სპეციალისტების მომზადება-გადამზადება;
- კერძო სექტორის მხარდაჭერა სახელწიფო სტრუქტურებთან დიალოგის წარმართვაში;
- წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება და მისი სტაბილურობის დაცვა.

„მექვევრეთა ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს შესაბამის სახელმწიფო უწყებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე კერძო სექტორთან, რათა ასოციაციის საქმიანობა ეფექტიანი იყოს“, - აღნიშნავს გია გამტკიცულაშვილი.

- მექვევრეთა ასოციაცია თანამშრომლობს შემდეგ ორგანიზაციებთან:
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭო;
- ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო;
- დარგობრივი უნარების ორგანიზაცია (დუო);
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული განათლებისა და გადამზადების, საკონსულტაციო მომსახურების (VET) სისტემის მოდერნიზაცია (VET PHASE 2)“ ფარგლებში, 2021 წელს, მექვევრეთა ასოციაციამ „ქვევრის მზე“ 40 000 ლარის ოდენობის გრანტიც მოიპოვა. მიღებული გრანტის ფარგლებში, ასოციაციამ 6 თვიანი ტრენინგ-სწავლება ჩაატარა თემაზე „კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლება და შეფასება პროფესიულ განათლებაში”.

უნდა აღინიშნოს, რომ მექვევრეთა ასოციაცია „ქვევრის მზე“ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შექმნილი დარგობრივი უნარების ორგანიზაციის (დუო), საინიციატივო ჯგუფის წევრია ღვინის წარმოების მიმართულებით.